ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №8-9 (7086) 4 აპრილი 2023 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

მუნიციპალური გაზეთი 90 წლისაა!



წლები და გაზეთი...

„ჩხარის კოლმეურნე“, „საკოლმეურნეო სოფელი“, „წინსვლა“, „თერჯოლა“

☞2

1933-2023

ჩვენი გაზეთი „თერჯოლა“

„თერჯოლა“ ჩვენი სიყვარულია. ოდნავ თერჯოლური აქცენტი დაჰკრავს. ამით გვაგრძნობინებს თითქოს, უფრო გულწრფელი რომ ვიყოთ მასთან ურთიერთობისას და საერთოდ არაფერი გამოეპარება. კარგსა და მისაბაძ კეთილ სიტყვას არ დაიშურებს.

ერთხანს „წინსვლა“ ერქვა—უფრო ადრე კი ორი სხვა სახელი. თუმცა, სიმართლის თქმის, ობიექტურობის, ყოველდღიური ცხოვრებისათვის ფხიზელი თვალის მიდევნების წესი იგივეა...

ახლა ეს გაზეთი, თქვენი და ჩვენი „თერჯოლა“ მუნიციპალიტეტის უპირველესი მემატიანე-მესიტყვე-მთხრობელია...

90 წლის იუბილე აქვს, ვულოცავთ, კვლავაც ეღვაწოს. კვლავაც, მისთვის დამახასიათებელი ერთგულებითა და უშუალობით გადაეცეს მომავალი თაობებისათვის—რანი ვიყავით და რანი ვართ...

ჩვენო მკითხველო—გაზეთი „თერჯოლა“ ყველაზე პირველი წინამორბედის, „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომრის გამოსვლის 90 წლისთავს ზეიმობს, გილოცავთ ყველას. ჩვენ ერთი საქმე გვაქვს. ეს სამშობლოს საქმეა. უღალატობა მას!

საიუბილეო მილოცვა მკითხველებისგან

კალმის წვერი გაქვს ოქროსი,
ცარც-პერგამენტის ქაღალდი.
საქმეს ერთგულებ ბოლომდი
გამოიწვრთენი და გალაღდი.
გავალება გაქვს სიკეთის,
არ გიცხოვრია ვალებით,
ცხოვრებას ზომავ და წონი
დაკვირვებული თვალებით.
გლოცავთ, გესიყვარულებით,
იუბილე შენი გვილხინს,
მსახურებდე შენს თერჯოლას
ეს ცხოვრება ამად კი ღირს.

16 აპრილი

ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი



14 აპრილი

დედაენის დღე

29 აპრილი



თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნები

მუნიციპალური გაზეთი 90 წლისაა!

იუბილეს ვულოცავ გაზეთ „თერჯოლას“. გამოცემა უკვე 90 წელიწადია კეთილსინდისიერად და პირნათლად ასრულებს პროფესიულ ვალდებულებებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საზოგადოების ინფორმირებულობისათვის. მინდა, წარმატებები ვუსურვო გაზეთ „თერჯოლის“ კოლექტივს, რედაქციის თანამშრომლებს. ვუსურვებ მათ ყოველთვის ყოფილიყვნენ იმ ღირებულებებისა და ფასეულობების მხარდამხარ, რომლებიც განაპირობებენ წარმატებულ საქმიანობას. არაფერია იმაზე ღირებული, ვიდრე ერთგულად ემსახურებოდე შენს საყვარელ საქმეს, რომელი ერთგულების ნათელი მაგალითიც, ვფიქრობ, რომ არის გაზეთი „თერჯოლა“. კიდევ მრავალი წელიწადი ეღვაწოს მას თერჯოლისა და თერჯოლელების წარმატებების მემატიანედ... ყოფილიყოს მათი წარმატებების სიმბოლო!

ბეჟან წაქაძე,
ზესტაფონი, თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

გაზეთ „თერჯოლას“!

გილოცავთ დაარსებიდან 90 წლის იუბილეს!

რედაქციის თითოეულ წევრს გისურვებთ ბევრ მკითხველს, საინტერესო სტატიებსა და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმეში.

მედია ქმნის და მართავს საზოგადოებრივ აზრს და სწორედ ამიტომ, ყველაზე მთავარს – ამავე საზოგადოების ნდობას გისურვებთ. ნდობა კი სიმართლის გარეშე შეუძლებელია.

სასიხარულოა, რომ ჩვენს რეგიონში 1933 წელს დაარსებული გაზეთი დღესაც აქტიურად აგრძელებს საქმიანობას, თქვენ ქმნით რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ისტორიას. ამიტომ თქვენი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარების საქმეში. მე კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და გისურვებთ საინტერესო საქმიანობას!

ზვიად შალამბერიძე,
სახელმწიფოს რწმუნებული იმერეთში

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

მოხარული ვარ, საიუბილეო თარიღი, 90 წელი მივულოცო გაზეთ „თერჯოლას“ და მთელ რედაქციას, მისი წინამორბედის დაფუძნებიდან და პირველი ნომრის გამოსვლიდან. ამ წლების განმავლობაში მისმა სახელწოდებამ არაერთხელ შეიცვალა სახელი, იგი ერთ-ერთი უძველესი ბეჭდური გამოცემაა საქართველოში, არის რაიონის ცხოვრების ჭეშმარიტი მემატიანე და დღემდე რწმენით, პასუხისმგებლობით და სიყვარულით სავსე პუბლიკაციებით ესაუბრება მის მკითხველს.

თქვენ ბეჯითი შრომით დაიმსახურეთ ღრმა პატივისცემა და მაღალი ავტორიტეტი, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიაში, ისე მის მრევლში.

მადლობა იმ ღვაწლისთვის, რასაც ჩვენი დედაეკლესიის მიმართ იჩენთ, მოიპოვებთ და აწვდით მკითხველს მათთვის საინტერესო ქადაგებებს, განმარტებებს სხვადასხვა ქრისტიანულ დღესასწაულებზე, რაც კიდევ მეტად ეხმარება მათ რწმენის განმტკიცებაში, მაღალი სასულიერო განათლების მიღებაში.

„იყავნ, კეთილი მექომაგე, აღსარების ჟამს“.

გიორგი შალამბერიძე,
ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი

გულითადად ვულოცავ გაზეთ „თერჯოლას“ და მის მთელ შემოქმედებით ჯგუფს 90 წლის იუბილეს.

ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, გაზეთი „თერჯოლა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან, სანდო და დაბალანსებულ ინფორმაციის წყაროს. გაზეთი წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩვენი უახლესი ისტორიის მემატიანედ. გისურვებთ წარმატებულ საქმიანობას, მუდამ გეხელმძღვანელოთ ჟურნალისტიკის მთავარი პრინციპებით—ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით. ჩვენ გვჯერა, რომ ერთგული მკითხველი არასოდეს მოგაკლდებათ. მრავალი წელი ღირსეულად გეტარებინოთ საუკეთესო გაზეთის სახელი!

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის გაზეთს დაარსებიდან 90 წელი შეუსრულდა, რომელსაც ამ წლების განმავლობაში არაერთი დამსახურებული ჟურნალისტი და გამორჩეული პიროვნება ემსახურებოდა. ისინი მუნიციპალიტეტის მაჯისცემას ათწლეულების მანძილზე ასახავდნენ და შედეგად, გაზეთი დღემდე წარმატებით აგრძელებს ფუნქციონირებას.

მინდა მოგილოცოთ რედაქციაში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს ეს საიუბილეო თარიღი და აღვნიშნო, რომ მშობლიური გაზეთის ასეთი სიცოცხლისუნარიანობა ნამდვილად დასაფასებელია. თქვენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ქრონოლოგიური, თემატური თანმიმდევრობით, სრული პასუხისმგებლობითა და ობიექტურობით აცნობთ საზოგადოებას.

გისურვებთ პროფესიულ საქმიანობაში წინსვლასა და წარმატებას, ასევე თქვენი საქმიანობის ღირსეულად დაფასებას.

მანუჩარ რობაქიძე
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

წლები და გაზეთი...

„ჩხარის კოლმეურნე“, „საკოლმეურნეო სოფელი“, „წინსვლა“, „თერჯოლა“

ყველა ჩვენი რიონული გაზეთის წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“, (საქ. კპ. ჩხარის რაიკომისა და რაიაღმასკომის ორგანო), დაარსდა 1933 წლის 2 აპრილს. ამ სახელით იგი გამოდიოდა 1951 წლამდე. თავდაპირველად ექვსდღიური იყო. პირველი რედაქტორი (პასუხისმგებელი რედაქტორი), აკაკი მახათაძე, პარალელურად ჩხარის რაიკომის მდივანი გახლდათ. გაზეთი თავდაპირველად იბეჭდებოდა ზესტაფონის გაზეთ „მშრომელთა ენთუზიაზმის“ სტამბაში, 1000-1500 ცალის რაოდენობით. კვირაში ერთი ნომერი იბეჭდებოდა ორ გვერდზე. გაზეთი იწყობოდა ხელით, შემდეგ დაკბადონებული გვერდები „დილიჟანსით“ მიჰქონდათ ზესტაფონში დასაბეჭდად. 1936 წლისათვის გაზეთის ტირაჟი 3000-მდე გაიზარდა. იმავე წლის 6 აპრილს დაიბეჭდა გაზეთის მეასე საიუბილეო ნომერი. სხვადასხვა წლებში გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორები იყვნენ: სიმონ მუმლაძე, არტემ ჩხაიძე, ვ. გაბუნია, სიმონ მხეიძე, გრიგოლ ჟვანია, დავით კაჭკაჭიშვილი... 1951 წელს, რაიონული ცენტრის თერჯოლაში გადატანასთან დაკავშირებით, გაზეთს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „საკოლმეურნეო სოფელი“. თერჯოლის რაიონის ზესტაფონის რაიონთან შეერთების შემდეგ კი, 1961 წლიდან 1965 წლის ჩათვლით, გაზეთმა შეწყვიტა არსებობა, მაგრამ რაიონის აღდგენასთან ერთად, 1966 წელს, იგი გამოვიდა „წინსვლის“ სახელწოდებით.

— 1978 წლის 27 დეკემბერს აღინიშნა გაზეთ „წინსვლის“ მე-4000 ნომრის გამოსვლა.

— 1983 წლის 20 მაისს თერჯოლის რაიონმა განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა რაიონული გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავი. იმჟამად „წინსვლა“ 8000-იანი ტირაჟით გამოდიოდა.



— 1990 წელს გაზეთს შეეცვალა სახელი და ეწოდა „თერჯოლა“.

— 2000 წელს, ახალ საკანონმდებლო მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკისა და ქონების მართვის სამინისტოს ქვემდებარეობით დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) „თერჯოლა“, რომელიც დღემდე გამოსცემს გაზეთ „თერჯოლას“.

— 2015 წელს შპს „თერჯოლა“ საკუთრებაში გადაეცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას.

— 2019 წელს გამოვიდა რაიონული გაზეთის მე-7000 ნომერი.

— დღევანდელი საიუბილეო ნომრის ჩათვლით სულ გამოსულია 7086 ნომერი.

— „თერჯოლის“ რედაქცია საქართველოსში იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საკუთარ კომპიუტერულ ცენტრში აწყობილი გაზეთი მიაწოდა მკითხველს. ეს მოხდა 1998 წლის 7 მაისს.

რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში პირველად მომზადებული გაზეთი დაიბეჭდა ქ. ქუთაისში, დღევანდელი „ხომლი-ენ“-ის სტამბაში, სადაც იბეჭდება დღემდე.

თუ ჩვენს გაზეთს ვერ შეიძენთ, ის შეგიძლიათ წაიკითხოთ:

გაზეთ „თერჯოლის“ ყოველ ახალ ნომერს, გარდა ბეჭდური ფორმატისა, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტსივრცის საშუალებით, გაზეთის ფეისბუქ გვერდზე (Faccebok გაზეთი თერჯოლა), ხოლო გაზეთის 2020 წლიდან დღემდე და შემდეგ გამოსული ყველა ნომერი შეგიძლიათ წაიკითხოთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: /www.nplg.gov.ge/.

მუნიციპალური გაზეთი 90 წლისაა!

გრიგოლ რობაქიძე ბრინჯაოში განფენილი სახით დაგვიბრუნდა...

მიმდინარე წლის 24 მარტს, ქალაქ თერჯოლაში, ცნობილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ რობაქიძის ბიუსტი გაიხსნა.

გრიგოლ რობაქიძის ბიუსტი, ქალაქ თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე ახალრეაბილიტირებულ სკვერში განთავსდა. ეს სკვერი პროექტის განახლებული რეგიონების ფარგლებში მოეწყო.

ბიუსტის გახსნას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, გრიგოლ რობაქიძის საზოგადოების თავმჯდომარე იამზე არველაძე, საკრებულოს წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მოსწავლეებისა და ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით ლიტერატურული პერფორმანსი გაიმართა.

პედაგოგმა, ლიტერატორმა მანანა წერეთელმა კი გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა. საზოგადო მოღვაწის სოფლის მოსახლეობის სახელით, შეკრებილთ მიმართა ძევრისა და ჩხარის მაჟორიტარმა დეპუტატმა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ძევრის საჯარო სკოლის დირექტორმა მანუჩარ ფანჩულიძემ.

ღონისძიების დასასრულს, მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ მადლობა გადაუხადა მოქანდაკე გიორგი ჭანკოტაძეს, ძეგლის გრანიტის კვარცხლბეკის დამამზადებელ ჭოგნარელ ოსტატებს, თორნიკე და კახა კვიმსაძეებს, რომლებმაც ის უსასყიდლოდ გადასცეს მუნიციპალიტეტს და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც საკუთარი წვლილი შეიტანა იდეის განხორციელებაში.

მან განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საშვილიშვილო საქმე, ისე როგორც ბევრი რამ თერჯოლაში, წამოიწყო მუნიციპალიტეტის აწგარდაცვლილმა მერმა ლაშა გოგიაშვილმა.

ღონისძიება განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ჩემო მეგობრებო, ჩემო კოლეგებო!

ამ გაზაფხულის აპრილის თვეში, ჩემთვის განსაკუთრებულ თერჯოლის რაიონის გაზეთ „თერჯოლას“, საიუბილეო დღეები აქვს—90 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ პირველი ბეჭდვური გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა...

წლების მანძილზე, თქვენს რაიონში არაერთ ჭეშმარიტ თერჯოლელს—სხვადასხვა პროფესიის ბევრ პიროვნებას, უჩინო თუ ჩინოსანს, შემოქმედსა თუ ჟურნალისტს დავუმეგობრდი... მათ ერთი რამ განსაკუთრებული აერთიანებდათ და აერთიანებთ—მშობლიური რაიონის, მისი ხალხის და გამორჩეული შვილებისადმი განუზომელი სიყვარული...

სწორედ ასეთი სიყვარულის გამოხატულება იყო ის, როცა... 1995 წელს, პირადად ჩვენი ორგანიზაციის და ქუთაისის მერიის მიერ დაწესდა დავით კლდიაშვილის სახელობის რესპუბლიკური ლიტერატურული პრემია, რომელიც გაიცემა ყოველ ორ წელიწადში ერთჯერ.

თქვენმა გაზეთმა კარგი საქმე გააკეთა, როცა გააშუქა ამ პრემიის დაწესების ისტორია და მკითხველს კიდევ უფრო გააცნო ლაურეატების შემოქმედება...

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ ეს დიდი სითბო და სიყვარული, კვლავაც უხვად გაგებნიოთ იგი „თერჯოლის“ ფურცლებზე და ადამიანებთან ურთიერთობაში... ჩემო მეგობრებო და ჩემო კოლეგებო!

თქვენი თემურ ლანჩავა,
საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისისა და იმერეთის ორგანიზაციების თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო მწერალი, ხელოვნების ქურუმი, სახელმწიფო და სხვა სახელობითი ლიტერატურული პრემიების ლაურეატი

გაზეთი „თერჯოლა“, აგერ უკვე ოთხმოცდაათი წელია, გვიყვება ამბებს ჩემი მხარის ადამიანებზე. მართალია, გაზეთს სახელი ეცვლებოდა, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, თავისი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი და ისიც რუდუნებით, მუხლჩაუხრელად ემსახურება თერჯოლელებს, რომლებიც უზომოდ მიყვარს.

თბილისიდან მანქანით რიკოთს რომ გადმოვცდები, ვგრძნობ ჩემში რაღაც რომ ხდება და როცა შორიდან უნაგირას მთა გამოჩნდება, ასე მგონია ბიოლოგიური ანტენები მეხსნება და გულით ვლოცავ მაქაურობას.

სიმონეთი და სიმონეთლები კიდევ ჩემი ბავშვობაა, არ არის წელი, რომ არ შევირბინო და არ დავხედო მუზეუმს, ღვინეფაძეების უბანში არ ავირბინო და წარაქოულას წყაროს წყალს არ დავეწაფო. მეამაყება, მუზეუმს დღეს რომ ხელმძღვანელობს დიდებული ოჯახისშვილი, დავით კლდიაშვილის დის კეკელას შვილთაშვილი, ჩემი ლალი ღვინეფაძე, ესეც სიმბოლურია და ტრადიციის გაგრძელება გახლავთ. ზემო სიმონეთის საჯარო სკოლასთან ჩემი მოკრძალებული ურთიერთობა მაკავშირებს, გავხსენით ბიბლიოთეკა და შევმატეთ ახალი წიგნები, რომელსაც მივანიჭეთ გამოჩენილი ქიმიკოსის ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილის სახელი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა და ბერლინის, გეტინგენის უნივერსიტეტებში გაგზავნეს ოდესის უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა და პროფესორმა პეტრე მელიქიშვილმა. სამწუხაროდ, 1905 წელს, იგი უკვე ცნობილი მეცნიერი და მკვლევარი, ოდესელი ებრაელების დარბევისას, 32 წლის ასაკში, ჟანდარმერიის ტყვიის მსხვერპლი გახდა.

საერთოდ, სადაც არ უნდა ვიყოთ, მეტი ყურადღება და გარჯა გვმართებს საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის მიმართ. მიიღეთ ჩემგან გულწრფელი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები.

რევაზ კლდიაშვილი
სტუ-ის ქიმიის პროფესორი, დრამატურგი, დავით კლდიაშვილის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

ვულოცავთ „თერჯოლას“ და „თერჯოლელებს!“



ჩემს საყვარელ გაზეთ „თერჯოლას“ და მის ნიჭიერ, შემოქმედ კოლექტივს გულითად სალამს გიძღვნით დედაქალაქიდან. თქვენ ქმნით ისტორიას, რომელიც მომავალ თაობებს მთელი სისრულით უხატავს დღევანდელი ხანის იერსა და სახეს, რაც ჭეშმარიტ აღიარებას იმსახურებს. გიფასებთ შრომას და გულითად მადლობას გიხდით იმ სითბოსათვის, რასაც მჩუქნით მრავალი წლის განმავლობაში. ვამაყობ თქვენით.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ გაზეთ „თერჯოლის“ საიუბილეო 90 წლისთავს, ეს გაზეთი საუკეთესოა. მიყვარხართ.

ზურაბ რობაქიძე
აკადემიკოსი,
თერჯოლის საპატიო მოქალაქე



ჩემი მშობლიური რაიონის გაზეთ „თერჯოლას“ ვულოცავ თითქმის საუკუნეს გატოლებულ იუბილეს—90 წლის შესრულებას თერჯოლური პრესის წინამორბედის „ჩხარის კოლმეურნეს“ პირველი ნომრის გამოსვლიდან.

საერთო აღიარებით ყველა ადგილობრივი გაზეთი, ამ ცხრაათეულწლოვანი ისტორიის განმავლობაში, ყოველთვის იყო რაიონის ცხოვრების მემატიანე...

კარგია, რომ წინამორბედების დარად, დაკისრებულ მოვალეობებს, დღევანდელ რეალურ ყოფაშიც ღირსეულად ართმევენ თავს ახლანდელი „თერჯოლა“ და მისი თანამშრომლები...

სულ სიკეთის კეთების გზით გევლოთ ჩემო „თერჯოლა“ და „თერჯოლელებო!“..

მარლენ სულამანიძე,
თერჯოლის საპატიო მოქალაქე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კლინიკა „ტოტო შარმის“ ხელმძღვანელი

სოფელი—გაზეთის საზრუნავი...

საქართველოს სიძლიერე ოდითგან ძლიერ სოფელზე იყო დაფუძნებული. ძლიერი სოფელი კი ეს მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა და შეძლებული გლეხკაცია, ამიტომ ყველა ეტაპზე გაზეთის საზრუნავი სოფლის აღორძინება და განვითარება იყო. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ადგილობრივი გაზეთის სახელწოდებები სიმბოლურად ამ საზრუნავს გამოხატავდა: ჩხარის კოლმეურნე, საკოლმეურნეო სოფელი, წინსვლა... სოფელი და მისი ამაგდარი ადამიანები იყვნენ გაზეთების ჟურნალისტთა მუდმივი ადრესატები. იმ დიდ აღმავლობაში, რომელიც განიცადა რაიონის სოფლის მეურნეობამ, შეუფასებელია წვლილი ადგილობრივი გაზეთის და მისი ჟურნალისტებისა. განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს თერჯოლელმა მეურნეებმა გასული საუკუნის 75-80-იან წლებში. თერჯოლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხრივ ტონის მიმცემი გახდა არა მარტო იმერეთში, არამედ რესპუბლიკის მასშტაბით. თერჯოლა ზედიზედ იმარჯვებდა რაიონებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ დროისათვის რაიონში ფუნქციონირებდა 14 კოლმეურნეობა და 3 მსხვილი საბჭოთა მეურნეობა. მათ შორის ყურძნის წარმოების ფლაგმანი რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, თერჯოლის სანერგე მეურნეობა და ბარდუბნის ბაზაზე მეცხოველეობის რაიონული გაერთიანება.

სოფელს მანქანა-ტრაქტორებით და სხვა საჭირო ტექნიკით ამარაგებდა „საქ. სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანება. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა მევენახეობას, როგორც ტრადიციული დარგის განვითარებას. დაიწყო ვაზის ახალი პლანტაციების გაშენება. დღის წესრიგში დადგა საამისოდ საკუთარი ნერგის წარმოება, თერჯოლაში კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა სანერგე მეურნეობა, აღჭურვილი თანამედროვე სასათბურე მოწყობილობებით. თერჯოლელი მეპიტონიკეები იმდენ ნერგს აწარმოებდნენ არა მარტო რაიონის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, არამედ ყურძნის სხვადასხვა ჯიშის ნერგი სარეალიზაციოდ გაჰქონდათ კიდეც. რამოდენიმე წელში ყურძნის წარმოება რაიონში გაორმაგდა ანუ წლიური 4000 ტონიდან 30000 ტონიან ზღვარს მიაღწია. საშუალო საჰექტრო მოსავალმა 90-100 ცენტნერს გადააჭარბა, შესაბამისად განვითარდა ყურძნის გადამამუშავებელი მრეწველობა. თერჯოლის რაიონში მოქმედ 4 ღვინის ქარხანას ახალი მე-5 ქარხანა დაემატა. აიგო შამპანური ღვინის კომბინატი და სულ მალე თერჯოლურ შამპანურს ბადალი არა ჰყოლია რესპუბლიკაში. ქ. თერჯოლაში საკონსერვო ქარხანაში დაიწყო ყურძნის უნიკალური ჯიშების ღვინოების ჩამოსხმა, რომლებიც დიდი მოთხოვნებით სარგებლობდა საკავშირო მასშტაბით. თერჯოლაში ყურძნის მოსავალი ჩასაბარებლად მოჰყავდათ ხარაგაულიდან, ბაღდათიდან, ცაგერიდან, ამბროლაურიდან...

სწრაფი ტემპით წარიმართა ქალაქის შემოსასვლელში კონიაკის ქარხნის მშენებლობა. საამისოდ სოფ. ქვედა სიმონეთში აშენდა სპირტის სახდელი რექტიფიკატი. თერჯოლა არა მარტო ყურძნის უხვად მწარმოებელი, არამედ ღვინო მასალების და ალკოჰოლური სასმელების ბრენდების მძლავრი მწარმოებელი რაიონი გახდა.

გაზეთმა მრავლად შემოგვინახა წერილობითი და ფოტო მასალები რაიონის სხვა წამყვან დარგებსა და მათ შემოქმედებზე: მესიმინდეებზე, მეჩაიეებზე, მებოსტნეებზე, მეცხოველეებზე...

სიმინდის, სოიის, ლობიოს და სხვა მარცვლოვანი კულტურების უხვი მოსავალი მოჰყავდათ ჩვენს მეურნეებს. სიმინდის საშუალო-საჰექტრო მოსავალმა ჰექტარზე 25-30 ცენტნერს გადააჭარბა. აღმავლობის გზას დაადგა ისეთი ახალი დარგი, როგორიც იყო მეჩაიეობა. საუკეთესო ხარისხის ჩაი იკრიფებოდა ეწერში, ბარდუბანში, ზედა სიმონეთში, საზანოს 26 მაისის უბანში, გოგნშიც კი. ნედლეულის გადამუშავება უპრობლემოდ ხდებოდა ქ. თერჯოლის ჩაის ფაბრიკაში. არა მარტო გადამუშავება, არამედ დაფასოება, ანუ საბოლოო სახის მიღება სარეალიზაციოდ.

რაიონში აღმავლობის გზას დაადგა ისეთი არატრადიციული დარგი, როგორიცაა მებოსტნეობა. აჯამეთის უხვმოსავლიანი მიწები, წყალწითელას მიმდებარე ფართობები საამისოდ ნაყოფიერად იქნა გამოყენებული. უხვად წარმოებდა პომიდორი, ხახვი, საზამთრო...

მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რომელიც ვფიქრობ მოსავლის მეტყველი მაგალითია ჩვენი სახელოვანი მეურნეების ცხოვრებიდან. ერთ წელიწადს პომიდორის უხვი მოსავალი მოვიდა, გაჭირდა დაბინავება. აღარ იყო ტარამასალა პომიდორის ჩასაწყობად. ეს პროდუქტი მალფუჭებადია, თუ დროულად არ მიაწოდე გადამამუშავებელ ქარხნებს, ყუათს დაკარგავს. აგერ, ჩოლაბურში დგას მატარებლის ნახევრადატვირთული შემადგენლობა და ელოდება პომიდორს. რაიონის ხელმძღვანელობამ საქმის კურსში ჩააყენა ზემდგომი უწყებები. საქმის მოსაგვარებლად თვით მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა და დაიძრა თერჯოლისკენ თუ სადმე რესპუბლიკაში ტარა-მასალა იყო, რაშიც კი შეიძლებოდა პომიდვრის მოთავსება. მთელი დღე-ღამე იტვირთებოდა პროდუქცია, დილით ადრე შემადგენლობა უპრობლემოდ გაუდგა გზას. მალე ჭოგნარში ხის ყუთების სპეციალური საამქრო გაიხსნა და ეს პრობლემა საბოლოოდ იქნა მოგვარებული.

თერჯოლა მეცხოველეობის პროდუქტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონი გახდა. თითქმის ყველა სოფელში იყო მეცხოველეობის და მეღორეობის ფერმები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბარდუბანში, ამ კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა მეცხოველეობის დიდი რაიონული გაერთიანება. აქ თავი მოუყარეს ჯიშიან ფურებს, რომელთა შეძენაც კი შეიძლებოდა რესპუბლიკაში. ამასთან ბალტიისპირეთიდან ჩამოიყვანეს „შვიცის“ ჯიშის შავჭრელი ფურები და ბუღამწარმოებლები. თუ ჩვენებური ფურების 1 სულის საშუალო წლიური წველადობა 2500 ლიტრს აღწევდა, ბალტიისპირულისა—5000 ლიტრას და მეტს. ოღონდ ისინი ბაგურ კვებაზე იყვნენ მოსავლელი.

სად არ იგზავნებოდა თერჯოლური სოფლის მეურნეობის ნობათი. ღვინო და ღვინომასალებით მთელი საბჭოური ბაზარი იყო მოცული, მაგრამ საბჭოეთის საზღვრებს გარეთაც იგზავნებოდა. სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქცია, მაგ. საკონსერვო კომბინატის მიერ გამოშვებული ტომატპასტები და ბოლოს წვენები ინგლისიდან დაწყებული ევროპის სხვა ქვეყნებშიც იგზავნებოდა, ეგ კი არადა კაკლის მურაბით იაპონლებიც კი დაინტერესდნენ.

გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები თერჯოლელი და ყაზახეთის უდიდესი რაიონის მშრომელების მეგობრობასა და საქმიან ურთიერთოებებზე. ხშირად იცვლებოდა დელეგაციები ორ მოძმე რაიონს შორის, რომელთა წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სტუმარ-მასპინძლობაში, ეკონომიკური კავშირურთიერთობის განმავლობაში. თუ თერჯოლიდან ყაზახეთში იმერული სოფლის ნობათი იგზავნებოდა, ყაზახეთიდან, კერძოდ ასტრახანიდან, თერჯოლაში პურით და პურპროდუქტებით დატვირთული ეშელონები მოემგზავრებოდა. ამ მეგობრობაზე არა მარტო ჩვენს გაზეთში, არამედ საკავშირო პრესაშიც ბევრი იწერებოდა.

არ შეიძლება გაზეთის ამ საიუბილეო დღეებში არ გავიხსენოთ სოფლის ის გონიერი ხელმძღვანელები და ხელმადლიანი ადამიანები, რომელთა საქმიანობის შესახებ წერილობითი და ფოტომასალები უხვად შემოგვინახა ადგილობრივი პრესის დრო-ჟამისგან გაყვითლებულმა ფურცლებმა. მათ შორის მეურნეობათა თავკაცები: მიხეილ ვერულაშვილი, ქაქუცა ზარნაძე, ანდრო ჭანტურიძე, ვასილ დიაკონიძე, არჩილ ლანჩავა, ილია ბერძული, თეიმურაზ ლანჩავა, გივი იამანიძე, ბორის ვერულაშვილი, ზაურ ცქიფურიშვილი, დავით მარუაშვილი, რეზო ზარნაძე...

სოფლის მშრომელი, ამაგდარი ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ქმნიდნენ დოვლათს: მევენახეები—თუზელი დავით რიჟამაძე, რუფოთელი ნესტორ გვენცაძე, ჩხარიდან უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეთერ ბუცხრიკიძე... მეჩაიეები—ეწრელი ცაცა ბოგვერაძე, ზედა სიმონეთელი ნუცა ჩუბინიძე, სიქთარველი ლამარა აბულაძე... ნახშირღელელი მეცხოველე შურა კეჭეყმაძე, ძევრელი ალიოშა ცქიფურიშვილი, ქვედა სიმონეთელი მეურნე იური ქაშაკაშვილი, მექანიზატორი გურამ სახელაშვილი, ორდენოსანი მევენახე დიდიმი მაკარიძე და მრავალი სხვა.

გაზეთმა მრავლად შემოგვინახა წერილობითი და ფოტომასალები იმ ამაგდარ, მუხლჩაუხრელად მშრომელ ადამიანებზე, ვის მხრებზეც იდგა რაიონის ეკონომიკა, ქვეყნის დოვლათი და ბარაქა.

ი. ერაძე

ფოტომატიანე

გაზეთების საქმიანობა ორგანულ კავშირში იყო სოფლის მშრომელთა ყოველდღიურობასთან. პრაქტიკაში დანერგილი იყოშეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, მათი გამოცდილების განზოგადების მიზნით. სწორედ ასეთი შეხვედრის ამსახველი ფოტოა წარმოდგენილი წინამდებარე გვერდში.

წინა რიგში სხედან რაიონის მოწინავე მშრომელები, დგანან რედაქციის მუშაკები.

რედაქციის ჟურნალისტები ხშირად სტუმრობდნენ უშუალოდ სამუშაო ადგილებზე მეზვრე-მევენახეებს, მეჩაიეებს, მეცხოველეებს...

გაზეთის ჟურნალისტები სტუმრად კვახჭირელ და გოდოგნელ მეცხოველეებთან საზაფხულო საძოვრებზე, ადიგენის რაიონში, ურემის მთაზე. მათ შორის ჯანდაცვის მუშაკი ელიფო ხარაზოვი, რომელიც ამოწმებდა მწყემსთა ჯანმრთელობის მდგომარეობას.

რედაქციის ჟურნალისტები არა მარტო ცხელ-ცხელი რეპორტაჟებისათვის სტუმრობდნენ სოფლის მშრომელებს, არამედ მოძალებული სამუშაოს დროს მათთან ერთად შრომობდნენ შაბათობებზე, სავარგულებში...

ადგილობრივი მაუწყებლობის რედაქტორი ელგუჯა სოფრომაძე და გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორის მოადგილე იუზა მარუაშვილი სანერგე მეურნეობაში.

სოფლებში ეწყობოდა სახალხო დღესასწაულები, შრომის ზეიმები, რომელთა ამსახველ მასალებს რედაქციის ჟურნალისტები მატიანედ აღნუსხავდნენ გაზეთის ფურცლებზე.

გაზეთ „წინსვლისა“ და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის მუშაკები საზანოში დიდ სახალხო დღესასწაულზე.

კულტურა—ჩვენი სავიზიტო ბარათი...

გაზეთის ფურცლებზე

დარგი, რომლითაც განსაკუთრებით შეგვიძლია თერჯოლელებმა ვიამაყოთ კულტურაა. ისე როგორც სრულიად საქართველოში, თერჯოლაშიც, უძველესი დროიდან მღეროდნენ, ცეკვავდნენ, სპექტაკლებს მართავდნენ... ასე უთავსებდნენ შრომას და გართობას ერთმანეთს.

ჩხარის თვითმოქმედი სიმღერის ანსამბლი და დრამწრე მაშინ (როცა რაიონული ცენტრი ჩხარი იყო), საღამოებს მართავდა მშრომელი ადამიანებისათვის... ხოლო, როცა რაიონის ცენტრი თერჯოლაში გადმოიტანეს მალევე ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. შეიკრიბნენ სცენის მოყვარულებიც და დგამდნენ წარმოდგენებს... ეს ყველაფერი თანდათან იხვეწებოდა და სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა. 1973-75 წლებში ანსამბლს იუზა კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა. გაზეთმა „წინსვლამ“ თავის მკითხველებს აუწყა სასიხარულო ინფორმაცია, რომ ანსამბლმა რესპუბლიკურ ფესტივალზე ლაურეატის წოდება მიიღო... ხოლო 1974-77 წლებში ანსამბლმა პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე (ლოტბარი ლეონიდ ფაჩულია, ქორეოგრაფი ელგუჯა გუმბერიძე) პირველი ადგილი აიღო და დიდი ოქროს მედალიც მოიპოვა, ხოლო გუნდის ყველა 35 წევრი დაჯილდოვდა მცირე ოქროს მედლით.

გაზეთში ვწერდით „საქვეყნოდ გაითქვა სახელი თერჯოლის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსაბლებმა. ეროვნული სურნელი იღვრება მის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერებიდან და ცეკვებიდან, შინდისფერჩოხიანი ვაჟკაცები და ტანწერწეტა ასულები უმშვენიერეს პოემას თხზავენ სცენაზე, ასე გგონია პირდაპირ ფრესკებიდან გეღვრება სულში მზის საგალობელი, ამიტომაც არ მოჰკლებია „იმერეთს აღტაცების ტაში და ტრიუმფით სვლა მხატვრული თვითშემოქმედების საკავშირო ფესტივალის თუ სარატოვში გამართულ სიმღერის დღესასწაულზე, თბილისში გამართულ კონცერტებსა თუ ინგლისის ქ. ბილინჰემის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებზე...“ (დ. ციბაძე, 1982 წ).

გაზეთმა „თერჯოლამ“ მრავალი სტატია, ნარკვევი თუ რეპორტაჟი მიუძღვნა თერჯოლის სახელგანთქმულ მომღერალ-მოცეკვავეების თუ სახალხო თეატრის წარმატებულ მოღვაწეობასა და მიღწევებს. სიმღერის ანსამბლი „იმერეთი“—ლოტბარი გულთამზე კუბლაშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლები „იმერეთი“ და „საპოვნელა“ (ხელმძღვანელები ირინა ბუცხრიკიძე, გოჩა ჭანკვეტაძე, თამუნა და გიორგი ჭანკვეტაძეები), ვაჟთა ანსამბლი „მასპინძელო“, ლოტბარი ინეზა ბუცხრიკიძე არა მხოლოდ თერჯოლაში და სრულიად საქართველოში, საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობით აოცებენ და აღაფრთოვანებენ მაყურებლებს...

თერჯოლის კულტურის სფეროს ფასდაუდებელ ხიბლს სძენს ჩვენი თეატრალური კოლექტივი თავისი საუკეთესო სპექტაკლებით... ამის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა გაზეთის ფურცლებზე. იყო შემთხვევა, როცა თეატრალური „იმერეთის“ ფესტივალზე სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ ოთხი ნომინაციის გამარჯვებით აღინიშნა.

ეს ძალზე მცირე ჩამონათვალია. თერჯოლაში კულტურული ცხოვრება გაცილებით ფართომასშტაბიანია და სხვადასხვა დროს ჩვენი გაზეთი მის შესახებ აუწყებდა მკითხველს, თუნდაც მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „მნათობი“, საბავშვო ოპერა, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, თერჯოლის №2 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯეოგენი“, ძევრის საჯარო სკოლის თეატრალური დასის სპექტაკლებიდან მიღებული სიამოვნება... და სხვა და კიდევ მრავალი სხვა...

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩხარში პირველი ბიბლიოთეკის შექმნა 1910 წელს უფასო სამკითხველოს ბაზაზე, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წიგნები საჩუქრად გადასცა, მისი განვითარების ისტორია... დღემდე მაღალ რანგში აყვანილი საბიბლიოთეკო საქმიანობა...

„ჩხარის კოლმეურნის“, „საკოლმეურნეო სოფლის“, „წინსვლისა“ და „თერჯოლის“ ფურცლებმა დაიტია არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, მოვლენა რაიონის კულტურული ცხოვრებიდან... ისიც, როგორ ჩამოდიოდნენ ცნობილი ქართველი თუ უკრაინელი მწერლები, პოეტები თერჯოლაში რთველზე თუ სხვა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებზე.

ინერებოდა წიგნები თერჯოლაზე, როგორ ზეიმობდა „გამარჯვებული თერჯოლა“, იყო სახალხო ზეიმები ჩვენი სასიქადულო მწერლის დავით კლდიაშვილის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.

„თერჯოლელთა სიამაყეა „გამყრელიძეების გორაზე“ ყელმოღერებული პიონერული ქალაქი „საპოვნელა“—იუწყებოდა „თერჯოლა“ 1977 წელს, რომელმაც მალევე მოიპოვა აღიარება და საყოველთაო სიყვარული“. იგი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გახდა ცნობილი და სანიმუშო. ქალაქში, სასკოლო არდადეგების პერიოდში, მომავალი თაობის შეკრების ადგილი იყო, სწავლის დაწყების შემდეგ კი მის კედლებში შრომაში ნაწრთობი ადამიანები, რაიონის სახელოვანი კოლმეურნეები და მუშები ისვენებდნენ და არა მხოლოდ თერჯოლელები.

„საპოვნელას“ სტუმრობდნენ ყაზახეთის რესპუბლიკიდან ათბასარის რაიონის, ასევე უკრაინის რესპუბლიკის წარმატებული გოგო-ბიჭები, იქ საინტერესო და დაუვიწყარ დღეებს ატარებდნენ ინგილოელი გოგო ბიჭები და მრავალი სხვა.

„საპოვნელა“ მხოლოდ პიონერთა და მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი კი არა, ჩვენი რაიონის კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრი გახდა. ხსოვნას შემორჩა საინტერესო შეხვედრები, კონკურს-საღამოები, მანიფესტაციები, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები. სწორედ აქედან დაიწყო თავისი კარიერული წინსვლა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საპოვნელამ“, რომელიც 1980 წელს უკრაინაში მიიწვიეს, შემდეგ მოსკოვში, ხოლო ყველაზე დიდი გამარჯვება კი საერთაშორისო პიონერულ ბანაკ „დრუჟბაში“ მოიპოვეს.

პიონერული ქალაქი იმთავითვე არაერთი რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბის შეკრებისა თუ ღონისძიებების ადგილად იქცა. აქ შედგა სოფლის თემისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური კინოფესტივალი, მულტიპლიკაციური ფილმების ფესტივალი, პოეზიის დღეები საკავშირო მხატვართა-შემოქმედებითი პლენერი, საქართველოს პირველობმა ჭადრაკში „თეთრი ეტლის“ პრიზზე და მრავალი სხვა.

„საპოვნელაში“ გრძელდებოდა საინტერესო დღეები, შემდეგ კი 90-იანი წლებიდან, იგი აფხაზეთიდან დევნილთა საცხოვრებლად იქცა.

ინგლისური დიდი წარმატება...

თერჯოლის ფოლკლორული ანსამბლის წარმატებულ გამოსვლებს ინგლისში, ნისლიანი ალბიონის ქვეყანაში, იქაური პრესის დიდი აღფრთოვანება მოჰყვა. ხაზგასმით აღინიშნა ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების უნიკალურობა...

აქვე გამოქვეყნებული სურათებიდან პირველი სამი, სწორედ იმ გაზეთების ფურცლებიდანაა გადაღებული, ხოლო მეოთხე სურათზე ამავე ანსამბლის ის ჯგუფია ასახული, ვინც მონაწილეობა მიიღო თერჯოლის ცენტრალური სტადიონის გახსნის ღონისძიებაში.

წარსულის ფოტოქრონიკა...

სოფლის თვითშემოქმედება

ფოტოზე გამოსახულია სოფელ ქვედა სიმონეთის საკოლმეურნეო გუნდი:

ლიკლიკაძე პავლე, ლიკლიკაძე გივი, ლიკლიკაძე-ჯულუხაძე ციცინო (ციალა) კოწიას ასული, ლიკლიკაძე თალიკო, ლიკლიკაძე ჟუჟუნა, ლიკლიკაძე დალი, საველიევა ნუნუ, ჩაფიძე დალი.

ფოტო გადაღებულია 1960 წელს.

90 წელი თქვენთან ერთად!

თერჯოლის ბეჭდური მედიის ისტორიას ადგილობრივ ჟურნალისტთა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა თაობები ქმნიდნენ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ვერ მოესწრო დღევანდელ ამ იუბილეს... ჩვენთვის, „თერჯოლის“ ახლანდელი შემადგენლობისათვის, ყოველთვის იქნება მისაბაძი მათი საქმიანობა და პროფესიონალიზმი... უფალმა გაანათლოს მათი სული!

ცხოვრება გრძელდება... ეპოქას და დროს სწრაფად მოაქვს ახალი რეალობები, ცვლილებები და გარდაქმნები... ამის დასტურად მედიის ტექნიკური ევოლუციის მაგალითის მოყვანაც კი საკმარისია.

ტექნიკურმა პროგრესმა, ციფრულმა ტექნოლოგიებმა, რაც ამ დარგში დაიწყო, სულ რაღაც 20-30 წლის უკან, ძირეულად შეცვალა გაზეთის მომზადება—ბეჭდვის ტექნოლოგია, ციფრული გახდა კადრების ფოტოგრაფირება... შესაბამისად, გაიზარდა შესაძლებლობები ბევრად უფრო ოპერატიულად და მაღალხარისხოვნად შევქმნათ და ვბეჭდოთ ჩვენი გაზეთი, ინტერნეტსივრცით გავავრცელოთ იგი.

დღევანდელი დრო და ეპოქა უფრო მეტს გვავალებს, ვიდრე ოდესმე.

უპირველესად ბევრს გვავალებს ის, რომ გაზეთმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრების მემატიანემ.

ამ საიუბილეო დღეებში, კვლავ დიდი მოწიწებითა და პატივისცემით მივმართავთ ჩვენს მოსახლეობას, გაზეთის მკითხველებს, ავტორებს, გაზეთის ერთგულ მეგობრებს...

ჩვენ ხომ უამრავი რამ გვაქვს ერთმანეთისათვის მოსათხრობი, ერთად განსახილველ-შესაფასებელი.

პირველად რა გითხრათ?

ჩვენ ძნელი, მაგრამ საინტერესო დროის მონაკვეთში გვიწევს ცხოვრება, სადაც მედია საშუალებებს საზოგადოებრივი აზრის და მოქმედების მრავალმხრივი მიმართულებით შეუძლიათ მანიპულირება... ეს უდაო ჭეშმარიტებაა...

სწორედ ეს ჭეშმარიტება გვავალებს ვიყოთ ობიექტურნი, რეალურად ავსახოთ ფაქტები და მოვლენები, კომენტარები გვქონდეს ზუსტი და მიუკერძოებელი...

კარგად გვესმის, რომ წარმატებულ ხვალინდელ დღეს ვერ შევქმნით გამუდმებული და მოუზომავი კრიტიკით, ყველასა და ყველაფრის განქიქებით, ლაფში ამოსვრით...

საზოგადოება დაიღალა ნეგატივით...

ჩვენ გვჭირდება მომავლის იმედით გამსჭვალული ადამიანები...

დარწმუნებული ვართ, ჩვენი საქმიანობა და თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო საინტერესო იქნება...

ამ იმედით გიწვდით ხელს და გეუბნებით: კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას თანადგომისა და ერთგულებისათვის, ხელისმომწერებს, ყველას ვინც ეს იუბილე მოგვილოცა, განსაკუთრებით ათასობით ჩვენს მკითხველს, საზღვარგარეთის ათეულობით ქვეყანაში გადახვეწილებს, ვინც მოუთმენლად ელოდება ჩვენს გაზეთს ბეჭდვურ ფორმატსა თუ ინტერნეტსივრცეში... მადლობა ყველას, ვინც ყოველთვის არის და იქნება ჩვენი ტკივილისა და სიხარულის მოზიარე...

დავით კლდიაშვილი,
რედაქტორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე

ამ საიუბილეო ჟამს, როგორც ყოველთვის, ჩვენი სარედაქციო შემადგენლობის წევრებისათვის, საკუთარი თავის ჩათვლით, კიდევ ერთხელ მოიმარჯვა თავისი ტკბილ-მწარე კალამი, ჩვენივე კოლეგამ ნუგზარ გამყრელიძემ. აქაოდა, ეს სერიოზულ იუბილეებს უხდებაო...

მენეჯერი—მანანა კირკიტაძე: არ ვიცი პირდაპირ რა ვქნა, როგორ გავანაწილო ერთ კვირაში მთელი ეს ტირაჟი? იმდენი ხალხი მოგვაწყდა გაზეთის გამოსაწერად, ამას სად აუვალთ?

გამომცემელი—ვალტერ გოგიაშვილი—ეს საქმე უნდა დავარეგულიროთ, ამას წყალი არ გაუვა. ჩვენი საკეთებელი საქმე ჩვენვე უნდა ვაკეთოთ. ვერავის დავტოვებთ უგაზეთოდ!

რედაქტორი—დავით კლდიაშვილი—იდეურობა, თემატიკა, პოზიცია, იუბილეები, ბანკეტები, დაბადების დღეები, სხდომები, თათბირები... აქეთ ეს, იქით ის... წამიღეს ფიქრებმა... ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი—დავით კლდიაშვილი იყო, არის და იქნება.

ჟურნალისტი—იუზა მარუაშვილი: რაც თავი მახსოვს სოფელზე ვწერდი, სოფელზე ვწერ და მომავალშიც სოფელზე დავწერ. სოფელმა ბევრი რამ შემძინა.

სულ ვაკვირდებოდი და მსიამოვნებდა—სოფელი მუდამ ფხიზლობდა, სოფელს არასდროს ეძინა.

ჟურნალისტი—ჟუჟუნა ცხადაძე—ჩემი გაზეთი (ახლანდელი და წინანდელი) დგას როგორც ბურჯი, ციტადელი, ის მაგონებს უდაბნოს შუაგულში აღმოჩენილ ოაზისს, ქართული სიტყვის მადლი რომ აზის! სულ მეფერება, მლოცავს, მომიწოდებს—ჟუჟუნა, როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე...

ჟურნალისტი—მზია ცქიფურიშვილი—ჩემო გაზეთო, ათწლეულიღა დაგრჩენია საუკუნოვან თარიღამდე, ანათე როგორც ანათებ—არასდროს დამიღამდე.

ჩვენ ერთად ვწეროთ თერჯოლის მატიანე—ყოველი აპრილიდან, ყოველ აპრილამდე.

ელენე ბოჭორიშვილი—რედაქციის ფინანსებს მე განვაგებ, ტექსტებს ვაწყობ და ვალაგებ.

ჩემ „პლიტასთან“ ვათბობ სიცივით აბუზულებს,
—ერთი ნუგზარ გამყრელიძეა, რომელიც არ ბუზღუნებს...

ნათია გამყრელიძე—ჩემო გაზეთო, გილოცავ იუბილეს. გმადლობ, რომ შენთან დამიგულე, რომ სიკეთეს, შრომას და პატიოსნებას ქადაგებ.

მიყვარხარ ამ ყველაფრისთვის.

ჟურნალისტი—ნუგზარ გამყრელიძე—ნუგზარ გამყრელიძეს:

—წადი ახლა სახლში, დაბერდი, ხომ ხედავ?
—კიი მარა, ხომ ხედავ, რომ მხნედ ვარ?

მილოცვა 90 წლის გაზეთ „თერჯოლას“

არსებობს პერიოდები, რომელიც ადამიანის ცხოვრებაზე განსაკუთრებულ კვალს ტოვებს, ჩემთვის ასეთი იყო გაზეთ „თერჯოლასთან“ გატარებული ხუთი ძვირფასი წელი.

ადგილობრივ მედია-საშუალებაში მუშაობა არაა მარტივი. სივრცე ლოკალურია, ყველა ერთმანეთს იცნობს და ნებისმიერი კრიტიკული ფრაზა ორმაგად მტკივნეული და განსჯის საგანი ხდება, არადა ჟურნალისტის დანიშნულება სწორედ კრიტიკა და მოდარაჯედ ყოფნაა.

ზუსტად ასეთი შემართებით, წლების წინ, რაიონის გამგეობის პრეს-სამსახურიდან, სტუდენტი გოგონა, აკადემიურ რედაქციაში, რედაქტორის პოზიციაზე აღმოვჩნდი. იქ დამხვედრი არაჩვეულებრივი ადამიანების დამსახურებით, ჩემი მეამბოხე სულის და ასაკის მიუხედავად, ვფიქრობ, ჩვენ ერთ, ძლიერ ოჯახად ჩამოვყალიბდით. ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ გაზეთ „თერჯოლის“ თითქმის საუკუნოვან ისტორიაში, ძალიან პატარა წვლილი მეც მაქვს.

მინდა დიდი სიყვარულით მივულოცო გაზეთ „თერჯოლის“ ღვაწლმოსილ, განათლებულ და გაწონასწორებულ წარმომადგენლებს, რომლებიც დღემდე ერთგულად ემსახურებიან რაიონის საზოგადოების ინფორმირებას. ასევე მინდა მივულოცო გაზეთ „თერჯოლის“ ყველა მკითხველს და გულშემატკივარს. თქვენი ერთი ხელმოწერაც კი, დიდი მხარდაჭერაა ადგილობრივი მედიისთვის. დღემდე მახსოვს ერთ-ერთი პედაგოგის ნათქვამი—თქვენი სტატიები ძალიან საინტერესოა, ველოდები ხოლმეო,—მსგავს შეფასებებს ძალიან ხშირად იღებენ „თერჯოლის“ თანამშრომლები და მერწმუნეთ, ეს არის ყველაზე დიდი მილოცვა და ჯილდო ჟურნალისტებისთვის. გილოცავთ და ბევრი წარმატება გქონოდეთ!

თამთა ვირსალაძე,
ყოფილი რედაქტორი

ჩემი ახალგაზრდობის წლებმა უაღრესად შინაარსიანად განვლო გაზეთების „წინსვლისა“ და „თერჯოლის“ რედაქციებში, შესანიშნავი ადამიანების გვერდით, რომლებიც დაუღალავად იღვწოდნენ აღეწერათ, აღენუსხათ დროთა სვლა, იმ პერიოდისათვის საკმაოდ წარმატებული, ჩვენი მშობლიური კუთხისა.

სარედაქციო კოლექტივის თითოეული წევრი კარგად ვგრძნობდით, ჩვენი რაიონის მაჯისცემას, ხალხის სულისკვეთებას. საოცრად შეკრული კოლექტივი ვიყავით. თითოეული ჩვენგანის ხელწერა კი მხოლოდ სიმართლის მსახურება იყო. გაზეთი „თერჯოლა“ ყველა თერჯოლელის კეთილი სტუმარი იყო. ვგრძნობდით, რომ ხალხს ვუყვარდით და აფასებდნენ ჩვენს ჟურნალისტურ საქმიანობას.

მერე, როდესაც ემიგრაციაში წასვლამ მთლიანად შეცვალა ჩემი ყოფა, არ გამიჭირდა შევგუებოდი ახალ მდგომარეობას. ადამიანების სიყვარულში და მსახურებაში განვლილმა ახალგაზრდობამ შემაძლებინა ახლებურ სიტუაციაშიც მეღვაწა ადამიანებისათვის, ამჯერად, ფიზიკურად.

მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს, ჩემს ჭარმაგ გაზეთ „თერჯოლას“ და მის კოლექტივს ვულოცავ 90 წლისთავის იუბილეს. საინფორმაციო ნიაღვარში რომ იბრძვის და იღვწის სიმართლის, სიკეთის და აღმშენებლობისათვის.

მინდა დიდი პატივისცემით პატივი მივაგო ჩემს უფროს მეგობრებს. დიდება მათ სახელებს და მათ ხსოვნას. მე მქონდა ბედნიერება გაზეთის პირველ რედაქტორთან ვალერიან (ვალიკო) რობაქიძესთან მეთანამშრომლა. ნათელი მის ხსოვნას, შემდეგ ბატონი გოლა ხიჯაკაძე დიდებული ჟურნალისტი და უკეთილშობილესი ადამიანი იყო, ბატონი ვასილ არაბიძე, ჩვენი დიდი მეგობარი. ჩვენი სიმონ ტალახაძე, პავლე ჩუბინიძე, ადრიანად ჩამქრალი დიანა ციბაძე, ჟენია ბოჭორიშვილი, იზო აბულაძე. მაპატიე ჩემო თინიკო, რომ ვერ შეგისრულე დანაპირები და ვერ ჩაგეხუტე, როცა ჩამოვალ ყველა თქვენგანის საფლავებზე მოვალ და ჩემი ცრემლებით გავათბობ ცივ ქვებს.

გაზეთ „თერჯოლის“ ბერმუხებს: ნუგზარ გამყრელიძეს, იუზა მარუაშვილს, ვალტერ გოგიაშვილს, დავით კლდიაშვილს და სხვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ.

ჩემს მშვენიერ ქალბატონებს: მზია ცქიფურიშვილს, ჟუჟუნა ცხადაძეს, მანანა კირკიტაძეს, ნათია გამყრელიძეს, დარეჯან რობაქიძეს და ელენე ბოჭორიშვილს გილოცავთ ამ შესანიშნავ იუბილეს!

ვიმედოვნებ, გაზეთის 100 წლისთავის იუბილეზე შევხვდებით ერთმანეთს.

ეთერი დადუნაშვილი,
აშშ, ნიუ-ორკი

90 წელი თქვენთან ერთად!

გაზეთ „თერჯოლის“ 90 წლის იუბილეს საბერძნეთიდან ულოცავს ჩვენი რაიონის შვილი, ლუიზა კუპატაძე. იგი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, გამოირჩეოდა პოეტური ნიჭიერებით, ორგანიზატორული უნარ-ჩვევებით, მაგრამ ბედისწერამ მშობლიურ რაიონს მოწყვიტა და შორეულ ქვეყანაში სულ სხვა ამპლუაში მოუწია საქმიანობამ.

გთავაზობთ გაზეთის იუბილისადმი მისალოც ვრცელი წერილიდან ამონარიდებს, რადგან გაზეთის ფორმატი ამ ეტაპზე არ იძლევა მისი სრულად გამოქვეყნების შესაძლებლობას.

გაზეთი „თერჯოლა” 90 წლის გამხდარა... ავფორიაქდი... მე ხომ ამ გაზეთთან, აგერ, თითქმის 10 წელია, აღარავინ და აღარაფერი მაკავშირებს? ვზივარ ათენის, ერთ ჩემად მიჩნეულ, სახლის აივანზე და თვალცრემლიანი გავყურებ, 70 წლიანი თვალსაწიერიდან, გზას, რომელიც ერთად გავიარეთ... ჯერ კიდევ მამის უჯრაში ჩაკეცილი, გაყვითლებული ფურცლები—„ჩხარის კოლმეურნე“, „საკოლმეურნეო სოფელი“, „წინსვლა“ რომ ერქვათ. მაშინ გაზეთს არავინ ხევდა და წვავდა, ის განძივით ინახებოდა და ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი იყო... მახსოვს მამა, სათვალით ხელში, ჩაუჯდებოდა და მონდომებით კითხულობდა მოცალეობის ჟამს... რამდენჯერმე დაიწერა მასზე, როგორც კარგ მეურნეზე, „ოქროსხელება“, ჩუქურთმისმჭრელ ხის ოსტატზე...

ეს გაზეთი, ჩვენი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო, გაზეთთან და მის ერთად შეკრულ ნიჭიერ კოლექტივთან კიდევ მეტად დამაახლოვა, ჩემი მეუღლის, ვასილ არაბიძის რედაქტორად მუშაობის პერიოდმა. მერე „წინსვლას“ დაერქვა „თერჯოლა“. 1999 წლის 27 მაისის ნომერში გაზეთმა „თერჯოლამ“, ყველა იმ სამსახურების მონაწილეობით, სადაც მიმუშავნია, დაბადების დღე მომილოცა, სათაურით „თქვენი ცხოვრების შუადღეც დამდგარა“... ეს იყო შეჯამება ჩემი მცირე წვლილის რაიონის მოსახლეობის წინაშე... და მალე, მე მომიხდა ყველაფრის მიტოვება, მარტო და ეული აღმოვჩნდი უცხო მიწაზე...

ემიგრანტისთვის პირველი წლები გაუსაძლისი და მძიმედ გადასატანია, ჩემთვის დაუვიწყარია გაზეთის თანამშრომელთა მცდელობა ჩემს ოჯახთან და სხვა ახლობლებთან ერთად, რომ მე თავი მარტოდ არ მეგრძნო და ეს სიშორე გადამეტანა, თითქმის ყოველ კვირას მომდიოდა იუმორით შეზავებული წერილები, ლექსები, მოკითხვები, გამხნევებები, განსაკუთრებით აქტიურობდნენ: ნუგზარ გამყრელიძე, ჟუჟუნა ცხადაძე, აწ განსვენებული, ჩვენი თინა ქოჩიაშვილი... რაც დიდ და თბილ მოგონებად დარჩა ჩემს გულში. მეც ხშირი კონტაქტი მქონდა გაზეთთან, ვეხმიანებოდი ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას, ერთი სიტყვით რაიონის ჭირსა და ლხინს ვიზიარებდი. მაშინ თქვენთან დამაკავშირებელი მაშველი რგოლი გვერდით მყავდა, ის გაზეთის ყველა ნომერს მაწვდიდა და მადაურ ამბებს მისხალ-მისხალ მაგებინებდა!

გაზეთ „თერჯოლის“ ერთად შეკრულ -შეწყობილმა, ნიჭიერმა, ერუდირებულმა, შემოქმედებითმა კოლექტივმა, ყველა დროში, ყველა ეპოქაში შეძლო გაზეთი სასარგებლო და საინტერესო ყოფილიყო ყველა ასაკის მკითხველისათვის... რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენ უკეთ იცით, დღესაც უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე დგახართ, გაზეთი უნდა იყოს პირუთვნელი მაცნე მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებისა, რაც დღევანდელ ეტაპზე არც ისე იოლია.

გილოცავთ გაზეთ „თერჯოლის” 90 წლის იუბილეს, და გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში... ერთსულოვნად იარეთ წინ, სანუკვარი მიზნისაკენ.

ნლებმა დაგამშვენა, წლებმა დაგაბრძენა,
ირმის ნახტომს მოგავს შენი გაქანება...
ნეტარება შეგაქვს მშრომელ კაცის გულში,
სვრელის თავში ჩამჯდარს, გულს რომ
გადაუშლი...
ვერ დააზროს ყინვამ, შენი თესლის ხნული,
ლამპარო ცხოვრების, გმოსავს
გაზაფხული,
არ განელდეს სიტყვის ცეცხლი,
შენებური...
გეტყვიან—სიტყვის ძალა დიდია,
აღემატება ყოველგვარ ძალას,
მარტო, ეს ორი პატარა სიტყვა.
თუნდაც კი—არა.
წარმოსათქმელი ღრმა ფიქრით, განსჯით,
უცბად კი არა...
მას შეუძლია კაცისსვე -ბედის,
და მთელი ქვეყნის ცვლა, ერთიანად!
მიუგდეთ ყური სოკრატეს რჩევას...
თუ თითო სიტყვას ცხრა საცრით გაცრით,
ჩვენს ანდაზასაც არ დაივიწყებთ—
ასჯერ გაზომავთ და ერთხელ გაჭრით...
მაშინ, ჩათვალეთ, რომ თქვენი სიტყვა,
ფიქრის და განსჯის დაღი რომ აზის,
გაღვივდება და აღმოცენდება,
ხალხში დარჩება ვით საღი აზრი...
ვერ ვაიოლებ, დღეს რთული დროა,
საბრძოლო, მჭრელი სიტყვით თუ საქმით
„ ბრძენი სიტყვითა დარჩების”,
ბრძანა... ჰოდა, ბატონო, თქვენც სიტყვით
დარჩით !

თქვენი ლუიზა კუპატაძე

ახალგაზრდულ წლებს მახსენებს...

გზა, რომელიც განვლო ჩვენმა რაიონულმა გაზეთმა, ჩემს ახალგაზრდულ წლებს მახსენებს, წლებს, როცა აქტიურად ვიყავი ჩაბმული შრომით საქმიანობაში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში...

წარმატებებს თუ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც ჩემს სოფელს სიქთარვას ან მის ახალგაზრდობას აწუხებდა, გაზეთი უყურადღებოდ არ ტოვებდა გულმოდგინებით აშუქებდა, ჩემს მიერ მიწოდებულ წერილებს, თუ რაიონში მიმდინარე მოვლენებს... ბევრი საინტერესო მოვლენის აქტიური თანამონაწილე ვიყავი, მიყვარდა „წინსვლა“, აქტიურ მკითხველად ვრჩები დღესაც, „თერჯოლაც“ საყვარელი გაზეთი გახდა ჩემთვის.

სულით და გულით ვულოცავ გაზეთ „თერჯოლას“, რედაქციის ყველა თანამშრომელს 90 წლის იუბილეს, ვუსურვებ წარმატებებს, მინდა კვლავ მედგრად იდგეთ ჩვენი რაიონის წარმატებებისათვის ბრძოლაში, იდგეს სიმართლის სადარაჯოზე.

აქვე არ შემიძლია არ გავიხსენო ყველა ის პიროვნება, ვინც გაზეთის ისტორია შექმნა, ვინც ცოცხალია ღმერთმა ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მისცეს, ვინც აღარ არის უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

ფრიდონ ჩაფიძე,
ყოფილი შტატგარეშე კორესპონდენტი

ჩემო თბილო და მშობლიურო გაზეთო, ლურჯთვალა იებითა და ყოჩივარდებით იმერეთის კორტოხებზე შემოპარული გაზაფხული და შენი იუბილე ერთდროულად მომილოცნია.

როგორ გაზრდილხარ და დაბრძენებულხარ, როგორი ჟამთა ცვლა გამოგივლია შენი შრიალა ფურცლებით, რამდენი სიხარული და ახალი ამბავი მოგიფენია ირგვლივ! მოგიფენია და მოგიკოპწიებია ყველაფერი!

რამდენ გაზეთსა თუ ჟურნალში დამიბეჭდავს ჩემი ნაშრომები, მაგრამ შენ სულ სხვა ხარ, იმერულ სურნელს აფრქვევ, სულ სხვა სინათლეს ატარებ...

ჰოდა, მუდამ ნათელი და იმედიანი გზით გევლოს, მკითხველი და გულშემატკივარი არ დაგლეოდეს!

მარად შენი ერთგული
გელა-გელუკა ბუიღლიშვილი

გულითადად ვულოცავ იუბილეს გაზეთ „თერჯოლას“. ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ეს საინფორმაციო საშუალება იყო, არის და იმედი გვაქვს ძალიან დიდხანს იქნება მოწოდების სიმაღლეზე, როგორც მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით მომუშავე გაზეთი, რედაქცია, რომელიც მუდამ გამოირჩევა საკუთარი საქმისა და ტრადიციების ერთგულებით. „თერჯოლა“ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების მემატიანეა და მკითხველის ინტერესს ჯეროვნად აკმაყოფილებს.

გისურვებთ კვლავ აქტიურ და წარმატებულ საქმიანობას.

ზვიად ბაზაძე,
მერის წარმომადგენელი ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში

წრფელი გულით, სიყვარულით, დიდი პატივისცემით ვულოცავ გაზეთ „თერჯოლას“ დაარსებიდან 90-ე წლისთავს. მის გამომცემელს, მთავარ რედაქტორს, ჟურნალისტებს და ყველა თანამშრომელს ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს.

გაზეთი „თერჯოლა“ ისე ძალიან მიყვარს, რომ მინდა იგი ყველა ოჯახში იყოს, გავრცელდეს, გაძლიერდეს უფრო მეტად, ვიდრე ახლა არის. მე მისი თითქმის ყველა ნომრის მკითხველი ვარ, ბევრი რამ მაკავშირებდა გაზეთ „წინსვლასთან“. ჩემი გაზეთი, თითქმის ჩემი თანატოლია, მას ბევრი სიძნელე, ნარ-ეკლით დაფარული გზები გაუვლია, გაუვლია ბრძოლით, გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაუვლია და მოსულა დღემდე, მოსულა ძლევამოსილად, ამაყად, შემართებით.

მე ვთხოვ, მოვუწოდებ ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენს საუკეთესო ახალგაზრდობას, თავიანთ მშობლებთან, ბებიებთან, ბაბუებთან ერთად გამოიწერონ, გაავრცელონ, იკითხონ ჩვენი საყვარელი გაზეთი.

მოვეფეროთ ჩვენს გაზეთს, რომელიც მალე საუკუნის გახდება, კარგი შევუქოთ, ნაკლი გავუკრიტიკოთ. ავამაღლოთ, გავაძლიეროთ იგი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, მრავალჟამიერ...

ირაიდა ბარბაქაძე,
პენსიონერი, სოფელი სიქთარვა

დიდი პატივია ჩემთვის მოგესალმოთ და გაზეთის იუბილე მოგილოცოთ, გაზეთისა, რომელსაც თითქმის 60 წელია ვკითხულობ, იგი შეუცვლელია, როგორც ჩემი რაიონის ცოცხალი ამბების მაცნე, ერთგული მრჩეველი და მეგობარი. შეიძლება თამამად ვთქვა, რომ ჩვენმა რაიონულმა გაზეთმა გამაცნო უამრავი ღირსეული ადამიანი სხვადასხვა სფეროდან, გამაცნო გამორჩეული ოჯახები, რომლებიც ქვეყნის სასიკეთო ფერხულში იყვნენ და არიან. ყოველივე ამაში უდიდესია თქვენი ღვაწლი ძვირფასო, ჟურნალისტებო, თქვენს ნააზრევ-ნაფიქრალში ყოველთვის იკითხება ინტელექტი, ერუდიცია, საქმის სიყვარული, იმედი მომავლისა, განვითარებისა და წინსვლის უსაზღვრო სურვილი...

მიყვარხართ უსაზღვროდ, მინდა ჯანმრთელი და დღეგრძელნი ბრძანდებოდეთ, საუკუნოვანი იუბილეც ერთად გვეზეიმოს...

დაე, მუდამ სასიკეთოდ მიიკვლევდეს „თერჯოლა“ გზას ადამიანთა გულებისაკენ...

გულინა ფანჩულიძე,
პენსიონერი პედაგოგი

---

90 წლის წინ დაარსდა გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“, მერე იყო „წინსვლა“, ამჟამად კი გაზეთი „თერჯოლა“... მადლობა ღმერთს, ჩემი ასაკის გამო ვიყავი რედაქციის თითოეული მუშაკის დიდი ღვაწლის მომსწრე. ბევრი გადაიტანეთ და დღემდე ინარჩუნებთ მოსახლეობის ჭირვარამის თუ სიხარულის გამზიარებლის სტატუსს, ახერხებთ, რომ დღევანდელ ინტერნეტით სავსე სამყაროში, თქვენი გაზეთი ჩვენთვის შეუცვლელია.

ჩემთვის გამორჩეულ გაზეთ „თერჯოლას“ სიამოვნებით ვულოცავ 90 წლის იუბილეს, რედაქციის თითოეულ თანამშრომელს ჯანმრთელობას ვუსურვებ... განვითარება, წინსვლა და მეტი მკითხველი თქვენს გაზეთს.

პატივისცემით, ნაირა ჩინჩალაძე

ქრონიკები ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან...

გასული, XX საუკუნის, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, „თერჯოლის“ რედაქციის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ვაქვეყნეთ მასალების ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან.

სამწუხაროდ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჩვენი პირველი წინამორბედის, **პირველი მემატიანის „ჩხარის კოლმეურნის“ მხოლოდ 1934 წლის 12 თებერვლის** ნომერი მოვიპოვეთ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, პირადად ქალბატონ მაია მიქაბერიძეს. ამჯერად, ჩვენი უძველესი გაზეთის მეოთხე გვერდს გთავაზობთ. „თერჯოლას“ მომდევნო ნომრებში კი ჩვენი სხვა წინამორბედების ფურცლებიდან შემოგთავაზებთ სხვადასხვა მასალებს.

ვფიქრობთ, მუნიციპალიტეტის (რაიონის) წარსულის ამ ქრონიკებს ინტერესით გაეცნობა ჩვენი მკითხველი.

ტექსტები დედნების იდენტურია.

რისთვის უნდა ვიბრძოლოთ 1934 წელში

1934 წელში საბჭოთა კავშირმა უნდა მიაღწიოს:

მსხვილი მრეწველობის პროდუქციის 21 პროც. გადიდებას, 1933 წელთან შედარებით მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოებში პროდუქცია უნდა გაიზარდოს 23 პროც. მსუბუქ მრეწველობის კომისარიატის 10,6 პროც. ტყის მრეწველობის კომისარიატის 18 პროც. მომარაგების სახკომის 22 პროც.

ფართო მოხმარების საგნების 17,8 გადიდებას.

უნდა გამოვიმუშაოთ 19 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

უნდა ამოვიღოთ 96,250 ათასი ტონა ქვანახშირი.

ამოვიღოთ 30.262.000 ტონა ნავთი.

გამოვადნოთ 10 მილიონი ტონა თუჯი და 9.800000 ტონა ფოლადი.

უნდა გამოვუშვათ 40.000 სახალხო და საბარგო რონოდები და 1253 ორთქმავალი.

მოვაწოდოთ ქვეყანას 115.300 ტრაქტორი და 72 ათასი ავტომობილი.

უნდა გამოვუშვათ 2.297.100 ათასი ბამბის და 188 მილიონი სელის ქსოვილი.

მძიმე მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება უნდა გავზარდოთ გასულ წელთან შედარებით 15,5 პროც.

პროდუქციის თვითღირებულება უნდა შევამციროთ 47 პროც. 1933 წლის საშუალო დონესთან შედარებით, მრეწველობაში თვითღირებულების შემცირების თვითოეული პროცენტი მოგვცემს 260 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას.

მშენებლობაში უნდა მოვახდინოთ თვითღირებულების 15 პროც. შემცირება—ამ შემცირების თვითოეული პროცენტი მოგვცემს 165 მილიონ მან. ეკონომიას.

უნდა გაუშვათ 13 ახალი ღუმელი, 40 მარტენი, 25 საგლინავი დაზგა, 3 ბლიუმინგი, ქვანახშირის 39 ახალი მაღარო და 13 კრეკინგი ბენზინის გამოსამუშავებლად.

1934 წ. დავამუშაოთ 130,1 მილიონი დასათესი ფართობი, აქედან გაზაფხულის კულტურების 93.250 ათასი გა. და შემოდგომის 36.840 ათასი გა.

უნდა მივაღწიოთ მოსავლიანობის გადიდებას 5 წლის საშუალოსთან შეფარდებით მარცვლეული კულტურების 13,9 პროც. ბამბის 12 პროც. სელის 10.6 პროც. შაქრის ჭარხლის 28,2 პროც. მზესუმზირის 18,7 პროც. და კარტოფილის 14,8 პროც.

რკინის გზის ტრანსპორტზე დღე ღამეში უნდა დაიტვირთოს 68 ათასი რონოდა.

მთელ სახალხო მეურნეობაში ხელფასის ფონდი უნდა უდრიდეს 37.7 მილიარდ მანეთს.

მუშებისა და მოსამსახურეების წლიური ბიუჯეტი უნდა უდრიდეს 460 მილიონ მანეთს.

უნდა მივაღწიოთ საბჭოთა კავშირში 60 მილიარდი მანეთის სახ. შემოსავლის მიღების ნაცვლად გასულ წელში 50 მილიარდისა.

სახალხო მეურნეობის კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობა უნდა გავზარდოთ 25,1 მილიარდ მან. ნაცვლად 18 მილიარდისა 1933 წელში.

უნდა გამოვუშვათ უმაღლეს სასწავლებლიდან 44.700 კაცი, ტეხნიკუმებიდან 1253000 კაცი მუშფაკებიდან 77.000 კაცი და 525.000 კაცი საფაბრიკო საქარხნო სკოლებიდან.

1934 წლის საბრძოლო ამოცანებს უნდა იცნობ. მთელი საზოგადოებრიობა, უფრო მეტიც, ის კარგად უნდა შეისწავლოს პარტიულ-კომკავშირულმა და კოლმეურნე ფართო მასებმა.

საზღვარ გარეთ

გერმანეთის პრესის აზრი დუმერგის კაბინეტის შესახებ

გერმანეთის პრესა დუმერგის კაბინეტს ისე აფასებს, როგორც დიდი ავტორიტეტის მქონე მთავრობას. პრესა ამბობს, რომ ამ მთავრობას პარლამენტში დიდი უმრავლესობა ეყოლებაო. ამიტომ იგი მოქმედების თავისუფლებას მიიღებს, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაშიო.

ზოგი გაზეთის სიტყვით, ახალი მთავრობა გერმანეთის ინტერესებს და მდგომარეობას არ შეამსუბუქებს, რადგან ამ მთავრობის წევრები ცნობილი არიან იმით, რომ არ უნდათ ადრინდელი მდგომარეობის შეცვლაო.

გაზეთი „ლოკალ ინცაიგერ“—ამბობს, რომ საფრანგეთის ახალ მთავრობასთან განიარაღებაზე მოლაპარაკება კიდევ უფრო ძნელი იქნებაო, რადგან საფრანგეთის ახალ მთავრობაში შედიან ცნობილი მარშალი გენერალი პეტენი, ნაციონალისტური საფრანგეთის ტიპიური წარმომადგენელი.

იაპონიას უცხოეთის დახმარება არ ესაჭიროება

პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე სამხედრო მინისტრმა ხაიასიმ განაცხადა, რომ შეიარაღების გაუმჯობესებისთვის იაპონიას უცხოეთის დახმარება არ ესაჭიროება, რადგან იაპონიის მრეწველობას ყოველგვარი მაღალი ხარისხის იარაღის გაკეთება შეუძლიაო.

ამერიკის საელჩოს შემადგენლობა მოსკოვში

ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ მოსკოვის ამერიკულ საელჩოში დანიშნული არიან შემდეგი პირები: საელჩოს მრჩევლად—უილი, მეორე მდივნად—გერდენსონი, მესამე მდივნად—კენანი, გენერალურ კონსულად დანიშნულია—ხენსონი, რომელიც წინად ამერიკის გენერალური კონსული იყო ხარბინში.

სამხედრო პროპაგანდა იაპონიაში

იაპონიაში გამოვიდა ორი ახალი ბროშურა, ერთი საბჭოთა კავშირთან ომის პროპაგანდას ეწევა, მეორე კი ითვალისწინებს იაპონიის და ამერიკის ომს. ბროშურების გამომცემელი არის „კულტურული საზოგადოება“, ბროშურები დასურათებულია და შეიცავს სამხედრო მოქმედებათა გეგმებს.

იაპონიას რომ მართლა მშვიდობიანობა სურდეს ასეთ ბროშერებს, რასაკვირველია არ გამოსცემდა.

სასკოლო მშენებლობის ხელის შემშლელი კობახიძე სასტიკად უნდა დავსაჯოთ

ჩხარის რაიაღმასკომის საგზაო განყოფილებამ 1933 წლის სექტემბერში შეისყიდა გათლილი ქვა, ქვედა ალისუბნის ოთხწლედიდან. აქტის თანახმად 4 საჟენ ქვაში უნდა მიეცათ 800 მანეთი, მაგრამ ასეთი დღესაც არ არის განაღდებული. ეს საქმე სასამართლომაც გაარჩია და მოპასუხე საგზაო განყოფილებას მიესაჯა 800 მანეთი გადასახდელად. მაგრამ კობახიძე არ ემორჩილება სასამართლოს დადგენილებას და თავის ჭკუით არ სურს აღნიშნული ქვის ღირებულება გადაიხადოს და აცხადებს: „ინჟინერს დაუშვია შეცდომა, რომ ერთ საჟენ ქვას 200 მანეთად გარიგებია, ჩვენ მაგდენს ვერ მივცემთ ქვაშიო“—ამას ამბობს მაშინ, როდესაც კობახიძეს გაუთლელ საჟენ ქვაში ხშირად 150 მანეთი და მეტიც მოუცია.

კობახიძე ასეთი ყალთაბანდობით საქმეს აჭიანურებს და აფერხებს სასკოლო მშენებლობის საქმეს, რისთვისაც ის სასტიკად უნდა დაისაჯოს, რომ სხვებსაც დაეკარგოთ ხალისი ასეთი ყალთაბანდობისა.

ი. ერგემლიძე

ა ქ ს ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ო ა რ მ უ შ ა ო ბ ს

სოფ. ალისუბანში არსებობს სამკითხველო, მაგრამ არაფერს არ აკეთებს. კარები მუდამ დაკეტილია და სამკითხველოს გამგეს იშვიათად ნახავთ. მაგრამ სამაგიეროდ მას აქვს ღია ფანჯარა, საიდანაც სამკითხველოს ქონება იფანტება.

სამკითხველოს გამგის უმოქმედობის შედეგად თემის ცენტრში არ გამოდის კედლის გაზეთი, არ სწარმოებს ხმაღალი კითხვის ჩატარება და სხვა.

განსაკუთრებით მე-5 ბოლშევიკურ საგაზაფხულო სამკითხველოს თესვის კამპანიის ჩატარებაში სამკითხველოს უდიდესი როლის შესრულება შეუძლია. სამკითხველოს გამგეებმა იმგვარად უნდა გარდაქმნან, თავიანთი მუშაობა, რომ პასუხობდეს სადღეისო ამოცანებს. ჩვენს სამკითხველოს კი სძინავს. ეს ძილი დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს.

შ.ხ-ძე.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა ხ ე ლ ფ ა ს ი ს გ ა ც ე მ ა ჭ ი ა ნ უ რ დ ე ბ ა

მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არსებობს მთელი რიგი დადგენილებანი, მაგრამ ამ დადგენილებათა გატარებაზე არ ფიქრობს ჩხარის რაისაფინანსო განყოფილება. ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი მასწავლებლები, რომელთაც არ მიუღიათ 2-3 თვის ხელფასი. ჩხარის პოლიტექნიკური ათწლედის მასწავლებელთა უმრავლესობა და განსაკუთრებით სხვა რაიონიდან მოსული მასწავლებლები სასტიკ მდგომარეობაში იმყოფებიან ხელფასის მიუღებლობის გამო. თვით განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ფ. თოფურიძეს არ მიუღია 4 თვის ხელფასი, არ მიუღია არც გადმოსასვლელი, რომლის გაცემის განკარგულებაც არა ერთხელ იყო გაცემული რაი აღმასკომის მიერ. ვეკითხებით საფინანსო განყოფილებას, ფიქრობს თუ არა ის მასწავლებელთა ხელფასით დაკმაყოფილებას?

მასწავლებელი

ა გ რ ო - ტ ე ქ ნ ი კ უ ლ ი ჩ ა მ ო რ ჩ ე ბ ა

აგროტეხნიკუმი პროპაგანდის უდიდესი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს ზოგიერთმა სოფლის ორგანიზაციებმა. მაგ. თავასისა და სკანდის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს აგროტექნიკური პროპაგანდა სასხვასათაშორისო საგნად მიაჩნიათ და არ ღებულობენ არავითარ ზომებს წრეებში მსმენელთა დასასწრებად. გულგრილობას იჩენენ წრის ზოგიერთი ხელმძღვანელიც. მხედველობაში მყავს თავასას სას. სამ. წრის ხელმძღვანელი, რომელიც სისტემატიურად აცდენს მეცადინეობას, რომ მეცადინეობა 15 მარტს უნდა დამთავრდეს, დრო ცოტა დარჩა, მასალა კი ბევრია გასავლელი. სამუშაოს დროის მაქსიმალურად დატვირთვით უნდა მოვახდინოთ ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

სოფრომაძე

პ. მგებელი რედაქტორი: აკ. მახათაძე

ქვ. ჩ. საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

ქუთაისის მკერავ ქარხნის მიერ გაცემული 40 მნ. ქვითრის დრო ცქიტიშვილის სახელზე, შორაპნის ზაკტპოს საწევრო წილი №33350 ქრისტეფორე რობაქიძის სახელზე.

ზესტაფონი, გაზ. „მშრ. ენტუზიაზმი“-ს სტამბა მთავლიტი № 3400 ტირაჟი 3000

მუნიციპალური გაზეთი 90 წლისაა!

რაიონული სტამბა და სტამბელები

ახალმა თაობამ, ვინც გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ დაიბადა, არც კი იცის, რომ ქალაქ თერჯოლაში გასული საუკუნის სამოციან წლებში მოეწყო პოლიგრაფიული საწარმო ანუ სტამბა, სადაც, სხვადასხვა ბეჭდვურ პროდუქციასთან ერთად, იბეჭდებოდა ჩვენი გაზეთის უახლოესი წინამორბედი გაზეთი „წინსვლა“. სტამბა განთავსებული იყო შოთაძის ქუჩაზე, იმ შენობაში, სადაც ახლა სტომატოლოგიური კაბინეტი, ადვოკატურა და სხვა დაწესებულებები ფუნქციონირებს.

ოთარ რობაქიძე, ნუგზარ ქოჩიაშვილი, თენგიზ მაკარიძე, სოსო ნიკოლაძე, ლეილა რობაქიძე, ნანა კოხია, გოგონა რობაქიძე, ნაზი მუმლაძე, ფიქრია აბულაძე, ჟუჟუნა მაკარიძე, თამრიკო კვატაია, გუნა კუტივაძე, გულნარა მაკარიძე, კალინა სოფრომაძე, ლეილა ღვინჯილია, მზია ტაბატაძე, ნათელა რობაქიძე, ციალა ფუტკარაძე, ნარგიზ ქემოკლიძე, მაყვალა გურაბანიძე, ცისანა ობოლაძე, გუგულა გოგოლაშვილი... სხვადასხვა წლებში სწორედ ეს ადამიანები გარდაქმნიდნენ მრავალტირაჟიან გამოცემად ჩვენი ჟურნალისტების შემოქმედებას.

ერთგულად და პასუხისმგებლობით ემსახურებოდნენ თერჯოლის პოლიგრაფიულ საწარმოს, რომელიც ჩვენს გაზეთს ბეჭდავდა.

დიდი და საპატიო ტვირთი ედგათ მხრებზე, მაგრამ საქმე კეთდებოდა საიმედოდ, უწუნოდ. პირველ ეგზემპლარებს პირველად ისინი კითხულობდნენ, გულდასმით ათვალიერებდნენ—იქნებ ხაზები, სურათები არ ჩანდა კარგად, იქნებ შეცდომა იყო სადმე, როცა დარწმუნდებოდნენ, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, უფრო სწრაფად მოძრაობდნენ ხელები, ბეჭდავდნენ გაზეთს ასე საყვარელს და ახლობელს.

ღამის ორ-სამ საათზე მთავრდებოდა მათი სამუშაო, უკანასკნელ ამობეჭდილ, გაუმშრალ ფურცლებს კიდევ ერთხელ გადახედავდნენ...

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა სახლში წასვლა და დასვენება...

გვინდა დიდი მადლიერებით გავიხსენოთ ისინი, ვინც გარდაცვლილია და ჯანმრთელობა ვუსურვოთ მათ, ვინც დღესაც იგონებს მაშინდელ საქმიანობას თერჯოლის პოლიგრაფიაში.

ფოსტალიონი...

...უყვარდათ სოფლებში პენსიების, ჟურნალ-გაზეთების, დეპეშების, წერილების დამტარებლები, იგივე ფოსტალიონები. მათ გამოჩენას, ჭიშკართან დაძახებას ყოველთვის ახლდა ინტერესი. ახლო წარსულში, როცა არ იყო მობილური ტელეფონები, ტელევიზორი და რადიოც კი, ცხადია არ იყო ინტერნეტი და კომპიუტერი, სწორედ ეს ფოსტალიონები იყვნენ „საინფორმაციო საშუალებები“ და პენსიონერთა გამხარებლები, თვიდან-თვემდე სარჩო-საბადებლის მიმტანნი.

დიახ, უყვარდა მოსახლეობას ფოსტალიონის გამოჩენა. თითოეულ სოფელში რამდენიმე ფოსტალიონი იყო, მათ ჰყავდათ ცხენები, ჰქონდათ დიდი ორთვლიანი ტყავის ჩანთები, მათრახი. სწორედ მათ დაჰქონდათ სოფლებში სხვა გაზეთებთან ჯერ „ჩხარის კოლმეურნე“, მერე „საკოლმეურნეო სოფელი“, „წინსვლა“...

ძნელად შეეგუა მოსახლეობა სოფლებში საფოსტო განყოფილების და შესაბამისად ფოსტალიონის შტატის გაუქმებას. ხალხი ტრადიციულ ფოსტას ამჯობინებდა. დღესაც ურჩევნიათ პენსიების სახლში მიტანა, ფოსტალიონისაგან ჭორ-მართალის მოსმენა. დრომ და პროგრესმა თავისი გააკეთა, ახლა მოტოციკლით იშვიათად თუ ჩამოიქროლებს სოფელში ფოსტის წარმომადგენელი და საგანგებო გზავნილს თუ მოგიტანს. ძველ თაობას კი ახსოვს მხოლოდ მათი საქმიანობა, ზოგჯერ ჭიშკართან დატოვებული ჟურნალ-გაზეთები და 10-11 ათასიანი ტირაჟით გამოსული გაზეთ „წინსვლის“ ეგზემპლიარები...

ასე გავხდი ჟურნალისტთა კავშირის წევრი...

...რედაქციაში სტუმარი გვყავდა. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ვალერიან ლალიაშვილი. რედაქტორი გოლა ხიჯაკაძე სტუმარს რაიონის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებინებდა და მასპინძლობდა. სამოცდაათიანი წლები იყო. მაშინ გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდიოდა და „პირველ კრუგზე“ ვარ რედაქციაში, ახალი მისული თან—გამოუცდელი, ამ სტუმრის გამო მორიგეობა ჟურნალისტებს დაგვევალა. ღამის 12 საათია, მორიგე ვარ. მასალები აწყობილია და მბეჭდავები გაზეთის დასაბეჭდად რომ მოვიდნენ, ზუსტად მაშინ აღმოაჩინა პასუხისმგებელმა მდივანმა თინა ქოჩიაშვილმა შეცდომა, რომლის გასწორება რედაქტორის უკითხავად არ შეიძლებოდა.

ვიქირავეთ მანქანა და წავედით ჭიშურაში. თინა სტამბაში დარჩა. გაიხარა გოლამ და გაოცდა ლალიაშვილი, „ეს ქალი იმსახურებს იყოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი“—თქვა მან და იქვე გადმომცა ანკეტა თან მითხრა „შეავსე და წავიღებო“. ამ არეულობასა და სიხარულში, როგორც ჟურნალისტი სიმონ ტალახაძე იტყოდა—„იაღლიში“ მოგვივიდა. ფოტოკორესპონდენტ ოთარ ბერეჩიკიძის მიერ გადაღებული სურათი ე.წ. „კლიშე“, რომელზეც ორი მწყემსი და ღორ-გოჭები იყო აღბეჭდილი საბეჭდ დაზგაში უკუღმა ჩაუდვია მბეჭდავს.

შეცდომა დილით აღმოვაჩინეთ, 10 ათასი ეგზემპლარია დაბეჭდილი. მისი განადგურება შეუძლებელი იყო. გოლამ „ღამენათევმა და ნამთვრალევმა“ გაზეთი მოიკითხა. ავის მოლოდინში ვართ, მე განსაკუთრებით, რომელიც ამ გაზეთზე ვარ პასუხისმგებელი. გვეგონა დაგვხოცავდა.. წამოდგა, როგორც ჩვეოდა ღიპზე ხელი მოისვა და გვითხრა—რა მშვენიერი სურათია გოგოებო, კაცები და გოჭები თავდაღმა რომ არ იყოსო.

ჟუჟუნა ცხადაძე

მეგობრული სტრიქონები იური ვერულაშვილს



რედაქციის ყოფილი მძღოლ-დისტრიბუტორი ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა. მეუღლესთან, ქალბატონ ნინელისთან, შვილებთან, რძლებთან, შვილიშვილებთან ერთად ხარობს ზნეკეთილი, შრომისმოყვარე ოჯახის პატრონი.

გმადლობთ იური გაწეული ამაგისთვის, უღალატობისთვის...

შენა ხარ კაცი ძმობის,
სიყვარულის და გრძნობის,
შავის და თეთრის ცნობის,
„მფლობელი—80 წლობის“.
შრომის და გარჯის ამტანი,
ჭირშიც და ლხინშიც გამტანი
კაცი ნაღდი და მართალი...

გაზეთი „თერჯოლა“

შენდება, მშვენდება...



ბოლო წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ამ მხრივ ძირეული ძვრებია გზების, სასმელი წყლის, ელექტროენერგიით მომარაგების და გაზიფიკაციის თვალსაზრისით...

აშენდა არაერთი სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა, პირველი მაღლივი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი...

სოფელ გოგნში ღვთისმსახურება დაიწყო წმინდა გიორგის სახელობის ახლადაშენებულმა ტაძარმა...

წარსულის ფოტოქრონიკა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ისე როგორც მაშინდელ საბჭოთა კავშირში, საქართველოსა და თერჯოლაშიც, ეკონომიკის აღმავლობის ეპოქა დადგა. ზედიზედ შედიოდა ექსპლოატაციაში სხვადასხვა საწარმოები, საგანგებო მობილიზაციით, სპეციალობების შესაძენად ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ახალგაზრდებს გზავნიდნენ მოსკოვის, გორკის და სხვა ქალაქების საწარმოებში. ჩვენი რაიონის სოფლებიდანაც, ამ მიზნით, რამდენიმე ასეული ახალსკოლადამთავრებულიც კი გაიგზავნა, შემდგომში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დასასაქმებლად.

ამ სურათზე, რომელიც 70 წლის წინ, 1952 წელსაა გადაღებული ქ. მოსკოვში, აღბეჭდილია ჩხარის იატაკის ფილების ახალგაზრდა კოლექტივის ერთი ჯგუფი ხელმძღვანელებთან ს. მხეიძესა და ს. ამირანაშვილთან ერთად იმყოფებოდნენ საწარმოო პრაქტიკაზე.



ამ ფოტოზე კი აღბეჭდილია კადრი, როცა თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი იოსებ ყიფიანი ჯილდოს გადასცემს ქარხნის დირექტორს სიმონ მხეიძეს.

ზეციურ მარადისობაში ამაღლებული ჩვენი კოლეგები...

გოლა ხიჯაკაძე



მაღალი, კეთილსახოვანი. ხმის სასიამოვნო ტემბრითაც კი გამორჩეული. ნიჭიერი ჟურნალისტი. კალამი უჭრიდა, ღრმა ერუდიცია ხელს უწყობდა ყოფილიყო წარმატებული. კომუნიკაბელურობა უადვილებდა ადამიანებთან ურთიერთობას.

ცხოვრების რიტმს გრძნობდა სიღრმისეულად. მხედველობიდან არ გამორჩებოდა ყოველი ნიუანსი, რაც ხდებოდა შინ და გარეთ.

მის ყოველ ქმედებაში სრულად ირეკლებოდა ჩვენი რაიონის ყოფა და ცხოვრება.

უყვარდა და შვენოდა ქართულ სუფრას. პოეზიის ტრფიალი იყო. ზეპირად იცოდა მთელი ქართული ხალხური თუ კლასიკური პოეზია.

თვითონაც სტუმრობდა და მასაც ხშირად სტუმრობდნენ მწერლები, პოეტები, მსახიობები, ასევე კოლეგა-რედაქტორები თბილისიდან, ქუთაისიდან...

ზედმიწევნით იცოდა გაზეთი და მისი რაობა. ბავშვივით ახარებდა, როცა რაიმეს, მისთვის მოსაწონ კორესპოდენციას წარვუდგენდით.

მასთან ურთიერთობები გვახარებდა და გვაბედნიერებდა.

ბატონი გოლა გამორჩეული იყო. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ, მის ოჯახთან ერთად, დიდი ადამიანური ტკივილი მოგვაყენა არამხოლოდ ჩვენ, რედაქციის მუშაკებს, არამედ მკითხველთა ფართო სპექტრს და მის საძმო-სამეგობროს.

ვასო არაბიძე

უბრალოება იყო მისი პიროვნების მთავარი ნიშანი. პროფესიით ისტორიკოსი გახლდათ. ახალგაზრდობისას ჩხარის იატაკის ფილების ქარხანაში საქმიანობდა. ნიჭიერებამ და პიროვნულმა თვისებებმა განაპირობეს მისი მმართველ სტრუქტურებში მუშაობის დაწყება. მან თავი მაინც რაიონული გაზეთის რედაქტორობით გამოიჩინა. იყო წყნარი, უხმაუროდ საქმის მკეთებელი, კომპეტენტური, დაცლილი ყოველგვარი ამბიციებისაგან. წერდა სადად და გამართულად. არ ცდილობდა საზოგადოების ყურადღება მიეპყრო. სასიამოვნო იყო მასთან მუშაობა. ამ ქვეყნიდან ვასოს ნაადრევმა წასვლამ ყველას გული დაგვწყვიტა.

პავლე ჩუბინიძე

პროფესიით პედაგოგი იყო, სოფელ ბარდუბნის საშუალო სკოლის დირექტორი, გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორის მოადგილე. წიგნიერი და განათლებული პიროვნება გახლდათ, ეწეოდა იმდროინდელი პარტიული საზოგადოების იდეოლოგიის პროპაგანდას.

სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ჯემალ დოლაკიძე

ჩვენი ჯემალი—ასე მოვიხსენიებთ ხოლმე. გამოცდილი აგრონომი, თავისი საქმის უხმაუროდ მკეთებელი კაცი, უზომოდ მართალი, უზომოდ ერთგული...

აჩქარებული, ან გაბრაზებული, ან ხმამაღლა მოლაპარაკე არავის გვინახავს.

თავის საქმე იცოდა. წერდა გასაგებად და სარწმუნოდ.

სანიმუშო „ყოფაქცევით“ გვჯობნიდა კოლეგა-რედაქციელებს. მას ვენდობოდით, მისი გვჯეროდა. თუ რაიმე ტყუილში „დაგვიჭერდა“ ჩაიცინებდა ხოლმე...

მუდამ მოწესრიგებული, მუდამ კეთილმოსურნე...

გვტკივა ჩვენი ჯემალი.

წლებმა ვერ გაანელა ეს ტკივილი...

რეზო ზარნაძე



პროფესიით ისტორიკოსი გახლდათ. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა იმდროინდელი პარტიული სტრუქტურის ლექტორმომხსენებლად. იყო ენერგიული, კეთილმოუბარი მწიგნობარი. ქადაგებდა სიმართლეს, პატიოსნებას, ეწეოდა სოფლის მეურნეობას.

გარკვეულ წლებში იყო რაიონული გაზეთის („წინსვლა“) რედაქტორის მოადგილე, სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

თინა ქოჩიაშვილი

ერთ-ერთი მათგანი, ვინც თავისი მხრებით ზიდა ჩვენი გაზეთის არსებობის, მისი მოვლა-პატრონობის, მძიმე ეკონომიკურ პირობებში თუ ქვეყნისათვის კრიტიკულ ვითარებაში მისი შენარჩუნების ნამდვილად არც თუ მსუბუქი ტვირთი ქალბატონი თინა ქოჩიაშვილი იყო. იგი თითქმის 50 წელი გაზეთის ჯერ ლიტერატურული მუშაკი, შემდეგ კი პასუხისმგებელი მდივანი გამორჩეული პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის მოვალეობას...

კოლეგიალური, მეგობრული, შრომისმოყვარე და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული მუდამ იდგა მოწოდების სიმაღლეზე... მას ენდობოდნენ რედაქტორები და რიგითი მუშაკები, პატივს სცემდნენ და აფასებდნენ.

მაკეტის მომზადებიდან დაწყებული მასალების კითხვა და მათი სათანადო ადგილზე განთავსება, შრიფტის, ფოტოებისა და სათაურების შერჩევა-შეჯერება... ყველაფერს თვითონ აკონტროლებდა, რომ მომდევნო დღეს მკითხველს ლამაზად გაფორმებული, საინტერესო და მიმზიდველი გაზეთი ჰქონოდა...

გაზეთის სრულყოფისათვის და მისი კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის მუდმივ ძიებაში მყოფი თავის თავში პოულობდა დროსა და ენერგიას რედაქტორთან ერთად დაეგეგმა და ეზრუნა ისეთი საკითხების მოგვარებისათვის, როგორიც იყო თუნდაც რედაქციის მუშაკთა ჟურნალისტთა კავშირში გაწევრიანება, სხვადასხვა რაიონული გაზეთების რედაქციებთან დამეგობრება და გაცვლითი ნომრების მომზადება, სადღესასწაულო შეკრებების, ექსკურსიების ხელმძღვანელობა...

და მთავარი სწორედ თინას დიდი ძალისხმევით მოხდა—ჩვენი გაზეთის ჯერ მე-4000 ნომრის გამოსვლის აღნიშვნა, შემდეგ კი 1983 წელს გაზეთის 50 წლის იუბილის გამართვა მაშინდელ ერთ-ერთ საუკეთესო რედაქტორთან, გოლა ხიჯაკაძესთან ერთად.

ორმოცი წლის წინ თინიკოს მიერ შედგენილი ე.წ. „ბუკლეტი“ დღესაც სიხარულს გვანიჭებს და სიამაყეა თითოეული ჩვენგანისათვის.

თინამ ორიოდე წლის წინ დატოვა თავისი უსაყვარლესი რედაქცია და სამწუხაროდ, 9 თვის წინ, ზეციურ მარადისობას შეუერთდა მისი ლამაზი სული... ნათელი მის ხსოვნას, ფასდაუდებელია ღვაწლი და შრომა, რომელიც თინიკომ გასწია...

მადლობა ძვირფასო დაო და მეგობარო, რომ წლების განმავლობაში იყავი ჩვენი გაზეთის ერთგული, ერთგული მეგობრებისადმი სიკეთესა და სიყვარულში.

დიანა ციბაძე

მზის გამონათებას ჰგავდა დიანას მოსვლა თერჯოლაში. მომხიბვლელმა ქალბატონმა ჯერ კიდევ სამხატვრო გალერეაში უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე მუშაობისას მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. იგი რამდენიმე წელი საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის თერჯოლის ფილიალის დირექტორთან, რაინდი ამირანაშვილთან ერთად, წარმატებულ საქმიანობას ეწეოდა. მაღალი შეფასება დაიმსახურა მათ მიერ ერთობლივად მომზადებულმა სტატიამ „ჟღერს ქვის ჰარმონია“, რომელიც 1981 წელს გაზეთ „წინსვლის“ ორ ნომერში დაიბეჭდა.

შემდეგ დიანა რედაქციაში მოდის და მოაქვს ზღვა ენერგია, ფაქტებისა და მოვლენების ახლებური ხედვა, ნანახისა და განცდათა გადმოცემის უბადლო ნიჭი და უნარი, უსაზღვრო სიკეთე, სიყვარული და მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა...

გაზეთს აშკარად დაეტყო დიანას გამორჩეული ხელწერა. ნიჭიერი ჟურნალისტი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი გულის სითბოსა და სიყვარულს აქსოვდა თითოეულ სტრიქონში. მაღალ დონეზე მომზადებული სტატიები, ნარკვევები თუ რეპორტაჟები საინტერესო და მიმზიდველი იყო მკითხველთა ფართო მასებისათვის.

მკითხველმა შეიყვარა აგრეთვე მისი ლამაზი, მოკრძალებული ლექსები, რომლებიც დროდადრო იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში.

ჩვენი გაზეთის გაყვითლებულ ფურცლებზე დღესაც სიხარულის მომგვრელია დიანას ნამუშევართა გაცნობა...

თერჯოლიდან წასვლის შემდეგ დიანას შემოქმედებითი დიაპაზონი კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი გახდა. საქართველოს ავბედითი 90-იანი წლების დღეებში, დიანას მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიით მომზადებული რეპორტაჟები, პირდაპირ ცხელი წერტილებიდან სრულიად საქართველოს აცნობდა აფხაზეთის ომის საშინელებათა ფაქტებს...

დიანამ დიდი სიყვარული დატოვა თერჯოლაში და პირიქით, დიდი სიყვარული გაიყოლა აქაური კოლეგა ჟურნალისტების, ნაცნობ-მეგობრების. დღემდე გაუხუნარია ეს სიყვარული და პატივისცემა. სამწუხაროდ, დიანამ ადრიანად დატოვა ეს წუთისოფელი, ზეციურ მარადისობაში ამაღლებული ქალბატონის ყველა გახსენება ცრემლიანი და მტკივნეულია...

დღეს დიანა რომ ცოცხალი იყოს... დიახ, დიანა, რომ ცოცხალი იყოს უდიდესი სიყვარულით და ულამაზესი სიტყვებით მოგვილოცავდა, მოეფერ-მოესიყვარულებოდა გაზეთს, თითოეულ ჩვენთაგანს...

ჩვენც მივულოცავდით და მადლობას ვეტყოდით ჩვენთან რედაქციაში მუშაობის ყოველი წუთისა და ყველა დღისათვის, ყოველი სტრიქონის გამო, რომელიც ყოველთვის ალამაზებდა და ამრავალფეროვნებდა, ხიბლსა და სიყვარულს სძენდა გაზეთს...

მშვიდობა გქონდეთ თქვენს მყუდრო ძილში

რედაქციელებისათვის 2022 წელი არ გამოდგა ყოველმხრივ ბედნიერი— ჩვენი უახლოესი მეგობრები, გაზეთზე, საქმეზე შეყვარებული, უკეთილშობილესი ქალბატონები: ჟენია, თინა და იზო ერთმანეთის მიყოლებით წავიდნენ. დატოვეს უზომო სევდა და ჯავრი არა მარტო ჩვენს გულებში, არამედ მთლიანად რაიონში, რადგან მათ კარგად იცნობდა რაიონის საზოგადოება. ისინი რამდენიმე ათეული წელი ერთგულად, გულის კარნახით და კვალიფიციურად ასრულებდნენ მინდობილ საქმეს, სიკეთეს და სიყვარულს სთესდნენ.

ჟენია ბოჭორიშვილი—იგი არ იყო მარტო კორექტორი. შეიძლებოდა მისთვის მთლიანად მიგენდო გაზეთი, კითხულობდა არა ერთხელ და ორჯერ, შეეძლო წერილი გაესწორებინა ისე, რომ წუნს ვერ დასდებდი, მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა, რადგან ვიცოდით, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო. წარმოშობით ტყიბულელმა მშობლიურივით შეიყვარა თერჯოლა და თერჯოლელები. წინაპართა საფლავების, ახლობელი ადამიანების მოსანახულებლად თუ წავიდოდა. თერჯოლა, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე, სადა, ზომიერად აუცილებელი ნივთებით სავსე, მუდამ გაკრიალებული ერთოთახიანი ბინა მისი ნავთსაყუდელი იყო. აქ, ამ ოთახში და საოცრად კარგ მეზობლებში გაატარა ცხოვრების საუკეთესო წლები. დიდი სიყვარული აკავშირებდა დასთან, ისინი ერთმანეთს აძლიერებდნენ, სითბოს უნაწილებდნენ. უქმარშვილო დები თავს ევლებოდნენ ძმისშვილებს, ძმისშვილებიც სიყვარულით და პატივისცემით პასუხობდნენ.

წავიდა ჩვენგან ჩუმი, უპრეტენზიო, უკომფლიქტო, ყველას მოყვარული ადამიანი. გული დაგვწყვიტა და დაგვიტოვა იმის მაგალითი—თუ როგორ უნდა იცხოვრო მცირე ხელფასით, მცირე პენსიით და მაინც ღირსეულად.

იზო აბულაძე—რედაქციის უცვლელი და სტაჟიანი ბუღალტერი. საშლელი, ფანქარი, ნემსი, ძაფი, საერთოდ თუ რამე გვჭირდებოდა, ვთხოვდით, გვაძლევდა და აღარ ვუბრუნებდით. ხის საანგარიშოს არ ელეოდა—ერთადერთი ელექტროგამომთვლელი მანქანა რომ გაუფუჭდა, განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. საკანცელარიო ნივთებს—რომ ჩამოგვირიგებდა ისე შემოგვხედავდა, გულში სითბო ჩაგეღვრებოდა, მითუმეტეს, ხელფასების გაცემისას იყო ბედნიერი, იცოდა, იმ დღეს იგი ჩვენთვის ყველაფერი იყო. ჩვენ გვიყვარდა იზო, ხუმრობით მამა-მარჩენალსაც კი ვეძახდით, მაგრამ რომ ვერ გვარჩენდა. იზო აბულაძე იყო კარგი ბუღალტერი, კარგი მეგობარი, უღალატო, ჩუმი, უპრეტენზიო, სიყვარულით და სიკეთით სავსე.

წლების განმავლობაში ბედნიერად ცხოვრობდა მეუღლესთან და შვილთან ერთად, შრომობდნენ, ქმნიდნენ, პური და მარილი არასდროს ელეოდათ, სტუმარი ამ ოჯახში სასურველი იყო და ხშირადაც სტუმრობდნენ. ჩხარში, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ხშირად დავდიოდით, იქ ვიხდიდით იუბილეებს და ჩვენ ოჯახად ვთვლიდით იზოს „თავისასლს“.

წავიდნენ ჩვენი საუკეთესო მეგობრები, გაზეთ „წინსვლის“, „თერჯოლის“ მოამაგენი... რაოდენ დასანანია, რომ თინა, ჟენია, იზო ვერ მოესწრნენ გაზეთის ამ იუბილეს.

სპორტული თერჯოლა

ბუნებრივია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თავის საპატიო ადგილი ტრადიციულად უკავია რაიონის ფიზკულტურულ და სპორტულ ცხოვრებას. ვხარობთ ჩვენი სპორტსმენების მიღწევებით, არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით... გვყავს და გვეამაყება, რომ თერჯოლაში, ჩვენს თვალწინ, იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის მომავალი ჩემპიონები და პრიზიორები.

გასული, 2022 წლის, სპორტულ შეჯიბრებებში ჩვენმა სპორტსმენებმა, სხვადასხვა რანგისა და სპორტის სახეობებში, 40 ოქროს, 45 ვერცხლისა და 81 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი ციფრებია.

ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა ისეთი სპორტსმენებით, როგორებიც არიან: მირიან გიორგაძე, გრიგოლ მამრიკიშვილი, ლერი ჯიხვაშვილი, დათო რობაქიძე და სხვები, ყველას ვერ ჩამოვთვლით... მათ წარმატებებში რა თქმა უნდა დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს: შაქრო ბერძენიშვილს, ზურაბ ჩაფიჩაძეს, ზურაბ გავაშელაშვილს, მალხაზ თურქაძეს...

ნორჩ „საპოვნელას“ ბავშვებს ავარჯიშებენ „საპოვნელას“ ყოფილი ფეხბურთელები დიმა არეშიძე, მალხაზ გურაბანიძე... და იმედოვნებენ, რომ თერჯოლის „საპოვნელა“, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც კი გამოდიოდა კვლავაც გამოჩნდება მწვანე მინდვრებზე.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ჩვენი იმედისმომცემი მოსწავლე-მოჭადრაკეების მიღწევები.

კარგია, რომ ჩვენმა მკითხველმა, „თერჯოლის“ საშუალებით, მიმდინარე წელსაც არაერთი სასიხარულო ინფორმაცია მიიღო თერჯოლელი სპორტსმენების წარმატებების თაობაზე.

ეს წერილი მზად იყო დასაბეჭდად, როცა რედაქციაში ნორჩი მოჭადრაკე ნინი წივწივაძის მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატობის კანდიდატი გია ჭუმბურიძე გვესტუმრა და მისი შეგირდის ახალი წარმატება—საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მოგვახარა. „ეს ტურნირი „ნოე ჟორდანიას თასი—2023“ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას სახელობისაა. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა 270-მდე მოჭადრაკე, როგორც საქართველოდან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტურნირი, საერთაშორისო მასშტაბით, პირველად ჩატარდა ქალაქ ლანჩხუთში და ის უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, რითაც მოხიბლულნი დარჩნენ როგორც ქართველი მოჭადრაკეები, ასევე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც. ტურნირზე, ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეებთან ერთად, წარმატებით იასპარეზა თერჯოლის სპორტული სკოლის მოსწავლემ ნინი წივწივაძემ (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, დირექტორი ელისო მურადაშვილი, კლასის დამრიგებელი ხათუნა ჩუბინიძე). ტურნირზე ნინიმ, შვიდი შესაძლებლობიდან—ორი ყაიმით და ხუთი მოგებით ექვსი ქულა მოიპოვა და 12 წლამდე გოგონათა შორის გახდა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

ვულოცავთ ნინის, მის მწვრთნელს გია ჭუმბურიძეს, თერჯოლას და თერჯოლელებს ნორჩი მოჭადრაკის დიდ წარმატებას...

მორიგი ახალი ინფორმაცია შევიტყვეთ—ჩვენებური, საბა კლდიაშვილი ახლახანს გახდა საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში 18 წლამდე ჭაბუკთა შორის. ასევე გულითადად ვულოცავთ მას, მის მწვრთელებს და მშობლებს, ბაბუას ნუგზარ კლდიაშვილს, რომელიც ერთ დროს თავადაც კარგად თამაშობდა ფეხბურთს.

იმედი გვაქვს, რომ საბა კლდიაშვილი, როგორც საიმედო მომავლის სპორტსმენი, კიდევ უფრო დიდი წარმატებებით გაგვახარებს რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებზე... დარწმუნებული ვართ, თუ იგი ჩვეული მონდომებით გააგრძელებს ყოველდღიურ ვარჯიშებს, მას ოლიმპიურ მედლებამდეც კი მიუწვდება ხელი...

იცოდეთ, რომ გაზეთი „თერჯოლა“ კვლავაც იქნება ჩვენი ახალგაზრდობის სპორტული მეგობარი და მათი მიღწევების ერთგული მაცნე...

კროსვორდი

„ჩხარის კოლმეურნედან“ „თერჯოლამდე“



1. პირველი გაზეთი. 2. გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორი. 3. რაიონული გაზეთის ახალი სახელწოდება. 4. რედაქტორი 23-წლიანი სტაჟით. 5. რედაქტორი, რომლის გვარი შვიდი ასოსგან შედგება. 6. სტამბის დირექტორი. 7. „ჩხარის კოლმეურნეს“ რედაქტორი. 8. გაზეთ „თერჯოლის“ ერთ-ერთი ადრეული სახელწოდება. 9. გაზეთის ერთ-ერთი ადრეული სახელწოდება. 10. ერთ-ერთი რედაქტორი. 11. ერთ-ერთი რედაქტორი. 12. გაზეთის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მდივანი. 13. ერთ-ერთი რედაქტორი. 14. ერთ-ერთი რედაქტორი. 15. „წინსვლის“ განყოფილების გამგე. 16. ს.მ. განყოფილების გამგე. 17. გაზეთის აქტიური მკითხველი და კორესპონდენტი. 18. ერთ-ერთი რედაქტორი. 19. გაზეთის ერთ-ერთი კორესპონდენტი. 20. გაზეთის ლიტმუშაკი, აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილე. 21. გაზეთის მეგობარი პოეტი. 22. გაზეთის მეგობარი მსახიობი. 23. სტამბის მბეჭდავი. 24. გაზეთ „თერჯოლის“ ახალგაზრდა კორესპონდენტი, პოეტი. 25. გაზეთის აქტიური მკითხველი. 26. გაზეთის აქტიური კორესპონდენტი. 27. გაზეთის განყოფილების გამგე. 28. გაზეთის მეგობარი, აკადემიკოსი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე.

წარსულის სპორტული ფოტოქრონიკა...



ჩხარის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი.

სეზონის გახსნა (1947 წ) ჩხარის „სპარტაკის“ ფეხბურთელები ჩოხატაურის სტადიონზე.

წარსულის და დღევანდელობის ფოტოქრონიკა

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, ჩვენი რაიონული ცენტრი დაბა ჩხარიდან გადმოვიდა დაბა თერჯოლაში. გთავაზობთ ფოტოკადრებს იმის შესადარებლად, თუ როგორ გამოიყურებოდა მაშინ დაბის ცენტრალური ანუ დღევანდელი რუსთაველის ქუჩის შენობა-ნაგებობები და როგორაა ეს ქუჩა განაშენიანებული დღეს ...

ყოფილი კომპარტიის თერჯოლის რაიკომის შენობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ახლადრეაბილიტირებული შენობა

საცხოვრებელი სახლი რუსთაველის ქუჩაზე

საცხოვრებელი სახლები რუსთაველის ქუჩაზე

საცხოვრებელი სახლი რუსთაველის ქუჩაზე

თერჯოლის სპორტის სასახლე

საცხოვრებელი სახლი რუსთაველის ქუჩაზე

საცხოვრებელი სახლები რუსთაველის ქუჩაზე

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872